[illegible]

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—56

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ. დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „[illegible]" და „მეცნიერება და ტექნიკას". განცხადებანი: ნონპარელის სტრიქონი—20 კ., [illegible] ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—48, სტამბის ტელეფონი 18—80.

დღიური

— გერმანიის მემარჯვენე პარტიები საგარანტიო ხელშეკრულების წინააღმდეგ ილაშქრებენ.
— მონღოლეთში ჩავიდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ამხ. ნიკიფოროვი.
— საბჭოთა კავშირში მოემგზავრება ფინეთის მუშათა დელეგაცია.
— პოლონეთში საშინლათ აწამებენ დაპატიმრებულ მუშებს და გლეხებს.

ხუთშაბათი, 24 სექტემბერი 1925 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 219 (1374)

წითელი ყაზარმა—ახალი ძალების მოლოდინში

სანამ არსებობს კაპიტალიზმი, ომის „ღმერთი" არ მოასვენებს კაცობრიობას. თავის მოტყუილება იქნებოდა გვეფიქრა, რომ ბურჟუაზია თოფ-ზარბაზანს და მხრჩოლავ გაზებს სადეკორაციოთ და ქიმიურ ცდებისთვის ამზადებს.

ადრე თუ გვიან აკაკანდება ტყვიისმფრქვეველი, ადრე თუ გვიან აყეფდება ზარბაზანი. ბურჟუაზია მხოლოდ მოხერხებულ დროს ელოდება.

თუ ეს მოხდა, თუ დაინთო ომის ცეცხლი, უნდა ვიცოდეთ, რომ, რა პირობებშიაც არ უნდა წარმოიშვას ის, ბრძოლა უმთავრესად სოციალისტურ რესპუბლიკების წინააღმდეგ იქნება მომართული.

ცხადია აქედან, რომ საბჭოთა ხელისუფლება, გადაკარწახებულ სამეურნეო და კულტურულ მუშაობის დროს, ვერ დაივიწყებს სამხედრო თავდაცვაზე ზრუნვასაც.

შეიარაღებული ძალა, მუშისა და გლეხის რკინის მუშტი, ერთი მთავარი პირობათაგანია ჩვენი მშვიდობიანი აღმშენებლობის უზრუნველსაყოფად.

ამითაა გამოწვეული, რომ საბჭოთა კავშირი იძულებულია იარაღქვეშ იყოლიოს რამდენიმე ასეული ათასი მშრომელი ახალგაზრდა.

მაგრამ ჩვენს სინამდვილეში შეიარაღებული ძალა სრულიად განსხვავდება ძველი დროის ლაშქრობისაგან, ან თუნდაც დღევანდელ კაპიტალისტურ ქვეყნების მხედრობისაგან.

საბჭოთა კავშირს, მშრომელთა სახელმწიფოს ესაჭიროება არა შეიარაღებული ცოცხალი მანქანა, არამედ თავის მოვალეობის სრული შემგნები მოქალაქე.

ჩვენ გვინდა არა მარტო თოფითა და ზარბაზნით შეიარაღებული ჯარი, არამედ რევოლიუციურ შეგნებით, სულიერათ გატალკვესებული სამხედრო ძალა. ამიტომ ჩვენი ყაზარმები, წითელი ყაზარმები, საბჭოთა საზოგადოებრიობის ერთი მნიშვნელოვანი კერათაგანია და საერთო აღზრდა-განათლების საქმეში მას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს.

ჩვენი ჯარი ერთ და იმავე დროს სამხედრო და კულტურული ორგანიზაციაა.

ახლა სადაცაა დაიწყება 1903 წელში დაბადებულ ახალგაზრდობის ჯარში გაწვევა. წინად შემოდგომას [illegible] გულისფანცქალით მოელოდა.

ძველი მთავრობა დაუვლიდა სოფელს, დასტაცებდა ხელს ახალგაზრდას და ცხრამთას იქით გადაჰყრიდა მეფის ტახტის დასაცავად. სამი თუ ოთხი წლის განმავლობაში უცხო მხარეში, უცხო წრეში და აუტანელ მონა-მორჩილების რეჟიმში უხდებოდა ცხოვრება ახალგაზრდა გლეხს და მუშას. სამი წლის განმავლობაში ის მკვდარი იყო მოქალაქეობრივათ.

დღეს სულ სხვა მდგომარეობაა. დღეს ჩვენ საკუთარი, ქართული წითელი ლაშქარი გვყავს. გაწვეული ახალგაზრდა თავის ქვეყნის, თავის ოჯახის მახლობლათ რჩება.

წითელი ყაზარმა მისთვის იმავე დროს სკოლას წარმოადგენს. დღეს საქართველოში აღარაა უკვდავ ნინოშვილის „მოსე მწერალში" მოცემულ ოქრუას და სოფრონის ტიპების პირობები.

ჩვენმა სინამდვილემ სოფლის ეს მწარე დღეები საუკუნოთ ჩაბარა წარსულს.

მაგრამ ჩვენ ვერ უარვყოფთ იმ ფაქტს, რომ ძველი მთავრობის მიერ ათეულ წლების განმავლობაში დაშინებული და სამხედრო ბეგარით შევიწროვებული სოფელი ზოგიერთ შემთხვევაში ალმაცერათ უყურებს ახალგაზრდობის ჯარში გაწვევას.

არის მაგალითები, როცა ძველსა და ახლის გარეგნულ მსგავსებაში, სამხედრო ბეგარის მოხდაში, ვერ არჩევენ დღევანდელი ჯარის მიზანს და შინაარსს. სოფლიდან ჯერ კიდევ სავსებით არ განდევნილა სამხედრო ბეგარისადმი მეფის რუსეთის მიერ ნაანდერძევი შიში და უნდობლობა.

ასეთი შემთხვევები არც ისე ბევრია, მაგრამ მათ მაინც აქვთ ადგილი ჩვენს პირობებში.

საჭიროა ყველა ჩვენი ადგილობრივ პარტიულ, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციების ამოძრავება. საჭიროა ფართე აგიტაცია-პროპაგანდა, რომ ღირსეულად ჩატარებულ იქნას ჯარში მომავალი გაწვევა.

ჩვენ აღარას ვამბობთ იმ შეღავათებზე, რომელთაც ადგილი ექნებათ ჯარში გაწვევის დროს ცალკე ოჯახების მიმართ. ამის შესახებ უკვე ვრცლათ გვქონდა ლაპარაკი ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ წარსულ ნომერში.

გლეხის მდგომარეობა მიღებული იქნება მხედველობაში ყოველ ცალკე შემთხვევაში. საბჭოთა კანონი მას გულცივათ არ მოეკიდება.

მაგრამ ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ მშრომელთა სახელმწიფოს ინტერესებიც. ვერც მის მიმართ გამოიჩენს გულცივობას ჩვენი სოფელი.

მუშისა და გლეხის გვერდით ყოველთვის მოწიწებით იხსენიება წითელარმიელის სახელი. საბჭოთა რესპუბლიკაში წითელი მეომარი საპატიო წოდებაა.

ჩვენ გვწამს, რომ მშრომელი მოსახლეობა ღირსეულად შეხვდება 1903 წლის გაწვევას. ჩვენ გვწამს, რომ საბჭოთა კავშირის მტრებისა და ორგულთა სავალალოთ ნორჩი ძალების ახალი რაზმები მშრომელთა სახელმწიფოს ერთგულ დარაჯათ გადაიქცევიან.

ჩვენი მუშაობის ნაკლულევანებანი

(მოხსენებების შესახებ)

ამას წინათ ვნახე სიზმარში თითქოს დამავალეს მოხსენების გაკეთება ბალეტის შესახებ. როგორც საერთოდ სიზმრებს, ისე ამასაც უთუოდ რაიმე კავშირი უნდა ჰქონდეს სინამდვილესთან. კერძოთ ეს სიზმარი გამოწვეულია მით, რომ ხშირად დავფიქრებულვარ როგორც ჩემ მიერ გაკეთებულ მოხსენებაზე, ისე სხვისგან მოსმენილებზედაც.

უნდა ითქვას, რომ მოხსენების მოწყობის და გაკეთების საქმეში ბევრი შეცდომა ხდება, ბევრ გაუგებრობას აქვს ადგილი. ხშირად კეთდება მოხსენებები უნაყოფო, უშინაარსო და მსმენელებისათვის გაუგებარი.

ყველაზე უფრო საგრძნობელ შეცდომათ უნდა ჩაითვალოს თვით მომხსენებლის ცუდი შერჩევა. მომხსენებლის დანიშვნის დროს ძალიან იშვიათად ფიქრობენ იმის შესახებ, იცნობს თუ არა ესა თუ ის პირი მოხსენების საგანს. ხშირად ისეთ საკითხს აძლევენ მომხსენებელს, რის შესახებაც მას ან არაფერი გაეგება, ან გაეგება ძლიერ ზერელად.

მომხსენებლის შერჩევას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება. მათი შერჩევა უნდა ხდებოდეს არა მომხსენებლების პროფესიის მიხედვით, არამედ საკითხის ცოდნის მიხედვით.

არ კმარა მარტო მომხსენებლის შერჩევა საკითხის ცოდნის მიხედვით. კიდევ აუცილებლათ საჭიროა მოხსენების წინდაწინ მომზადება. რაც უნდა კარგად იცოდეს მომხსენებელმა საკითხი, თუ ის არ შეემზადა, ისე მის მოხსენებას ძალიან ნაკლები ფასი ექნება. პროფესორიც კი, რომელიც ერთსა და იმავე საკითხზე რამდენიმე ათეული წლის განმავლობაზე ერთნაირად კითხულობს, ყოველ ლექციის წინ ემზადება. მომხსენებელმა საკითხი ყოველმხრივად უნდა მოამზადოს, შეკრიბოს სათანადო ციფრები და სხვა ცნობები. შეიძლება ყველა ეს ცნობები მსმენელთა წინაშე არ იქნეს გამოყენებული, მაგრამ მაინც თვით მომხსენებლისათვის საჭირო არის, ვინაიდან მისთვის გაურკვეველი ამ საკითხში არაფერი არ უნდა დარჩეს.

დიდი მნიშვნელობა აქვს გარედვე მოხსენების მოსამზადებლად მსმენელების შემადგენლობის ცოდნას. ერთი და იგივე საკითხი სხვადასხვა აუდიტორიის წინაშე სხვადასხვანაირად უნდა იქნეს გაშუქებული. [illegible]მოებას აქამდე ძალიან ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. ავიღებ რამოდენიმე მაგალითს პირადი გამოცდილებიდან. ერთხელ ტელეფონით მაძლევენ წინადადებას საერთაშორისო ქალთა დღის შესახებ მოხსენება გავაკეთო ტფილისის ერთ-ერთ წარმოების მუშა ქალების კრებაზე. შევეცადე აუდიტორიის შემადგენლობის მიხედვით წინდაწინ დამელაგებია მოხსენების გეგმა და შინაარსი. მივედი მოხსენების გასაკეთებლად, მაგრამ მოზრდილ მუშა-ქალების მაგივრად დამხვდენ მოზარდი ქალები 12—16 წლამდე. ცხადია, რომ მათთვის არ ივარგებდა ისეთი მოხსენების გაკეთება, როგორც მოზრდილებისათვის. იძულებული შევიქენი „ექსპრომტათ" გამეკეთებია მოხსენება.

არა მარტო მსმენელების შემადგენლობის წინდაწინ ცოდნა არის საჭირო, არამედ კიდევ საჭიროა იცნობდე დაახლოვებით მაინც იმ პირობებს, რომელშიაც მსმენელების უმეტესი ნაწილი იმყოფება. კიდევ მაგალითი: ტფილისის ერთ განაპირა უბანში ვაკეთებ მოხსენებას ტფილისის საბჭოს მიერ ჩატარებულ მუშაობის შესახებ; მსმენელებს ვუშლი იმ ციფრებს, რომელსაც გავეცანი დაბეჭდილ ანგარიშში. ვლაპარაკობ ტრამვაის, წყალსადენის, სწავლის საქმის და სხვის შესახებ. ვუმტკიცებ, თუ როგორ წინ წავიდა ტფილისის საბჭო შედარებით წარსულ წლებთან და როგორ ზრუნავს ის ქალაქის როგორც ცენტრის, ისე განაპირა უბნებში მცხოვრებლებისათვის. შემდეგში გავიგე, რომ კერძოთ წყლის მიწოდების და სკოლის საქმე აქ ჯერ არ ყოფილა ისე მოგვარებული, როგორც სხვა უბნებში. მოხსენებაში უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული ამ უბნის მდგომარეობა, გარკვეული მიზეზები ამ მდგომარეობის.

ხშირად კეთდება აგრეთვე რთული შინაარსის მოხსენებები იქ სადაც ამ საკითხისათვის სრულიად მოუმზადებელი არიან. მაგალითად, მიმდინარე წელს ერთ უბნის მილიციონერების საერთო კრებაზე ვილაპარაკე კომინტერნში შემავალ პარტიების ბოლშევიზაციის შესახებ. ამ საკითხზე მქონდა გაკეთებული მოხსენება სამჯერ და უკვე ამიტომაც საკმაოდ ვიცნობდი მას. მივიღე მხედველობაში აუდიტორიის შემადგენლობა და ვეცადე ძალიან მარტივად და გასაგებად მელაპარაკა. მოხსენებას მოვანდომე ერთი საათი. (საერთოდ გვჩვევია გრძელი მოხსენებების გაკეთება!) გათავების შემდეგ არავითარი შეკითხვა მსმენელებისაგან და არავითარი კამათი. მათი სიჩუმე და სახის გამომეტყველება ამბობდა იმას, რომ მათ ვერაფერი გაიგეს. ან და როგორ უნდა გაეგოთ, როცა პოლიტიკურ ანბანის სწავლის დაწყებას მხოლოდ აპირებდნენ?

ზევით უკვე ვსთქვით, რომ გვიყვარს გრძელი მოხსენების გაკეთება. ძალიან იშვიათი არის, რომ მოხსენება ერთ საათზე ნაკლები იყოს. საათი და საათნახევარი ჩვეულებრივი მოვლენა არის. ხშირად ორსაათიან მოხსენებასაც აქვს ადგილი. ეს გრძელი მოხსენებები არის გამოწვეული მით, რომ პირდაპირ დასმულ საკითხს კი არ უდგებიან, არამედ იწყებენ „ადამი"-ს დროიდან. რასაკვირველია, რამდენად უფრო ფართოდ იქნება გაშუქებული საკითხი, რამდენად მას ისტორიულ თვალსაზრისით მიუდგებიან, იმდენად უკეთესი, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მოხსენების მოსმენა არ არის წიგნის წაკითხვა.

ამ გრძელი მოხსენებით აუდიტორია იქანცება, კარგავს კამათში მონაწილეობის ხალისს, რეზოლიუციის მიღებაშიც პასივობას იჩენს. ნახევარი ან ერთი საათი (საკითხის სირთულის მიხედვით) უნდა იქნეს მიღებული მაქსიმალურ ნორმათ.

მოხსენების სიმარტივის საკითხიც ვერ არის სწორად დაყენებული. ის სიტყვები და თერმინები, რომელთაც ჩვენ ვთვლით გასაგებად, ბევრს არ ესმის. მაგალითად, ავიღოთ კოვალენკოს პოლიტიკური ანბანის ქართული თარგმანი (უკანასკნელი გამოცემა). ეს წიგნი ძალიან მარტივ და გასაგებ ენით დაწერილი და გადათარგმნილი მეჩვენა, მაგრამ როცა პოლიტსკოლის მსმენელ მუშებს მივეცი ის, როგორც სახელმძღვანელო—მათ ამ წიგნში ბევრი სიტყვა ვერ გაიგეს და საერთოდ მისი შეთვისება ბევრს გაუჭირდა. შეიძლებოდა ხსენებული წიგნის ისე გადათარგმნა, რომ შიგ არ ყოფილიყო უცხო სიტყვები. ამ სახით კი ის არ არის გამოსადეგი მათთვის, ვინც პოლიტიკურ ანბანს ეცნობა და მათთვის კი, ვინც უკვე ამ ანბანს გაცნობილია, ეს წიგნი საჭიროც აღარ არის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ენაზე პოლიტიკურ ლიტერატურაში შეიძლება იყოს ერთი ან ორი წიგნი, რომელიც მასებისათვის ადვილი მოსანელებელი იქნება. ეს ხდება მიტომ, რომ ჩვენ მიჩვეული ვართ სიმარტივე საკუთარი საზომით ვზომოთ და არა იმათი საზომით, ვისთვისაც ის გვინდა გამოვიყენოთ.

მოხსენებებშიაც ხშირად ხმარობენ უცხო სიტყვებს, მასებისათვის გაუგებარ გამოთქმებს და წინადადებებს. ბევრი არამც თუ არ სცდილობს მოხსენების მარტივ ენაზე გაკეთებას, არამედ, პირიქით, ხმარობს მრავალ უცხო სიტყვებს. ამ „საკითხს აქტუალური მნიშვნელობა აქვს",—ჩაურთავს მაგალითად ორატორი მოხსენებაში. მსმენელ მუშა და გლეხისათვის კი ეს სიტყვა გაუგებარია.

ზევით ჩამოთვლილ ნაკლულევანებათა გამოსწორებას უნდა მიექცეს ყურადღება. ცუდი, უშინაარსო, გაუგებარი და მსმენელებისთვის შეუფერებელი მოხსენებების გაკეთება არამც თუ ნაყოფს არ მოიტანს, არამედ, პირიქით, ის ბევრს დაუკარგავს ხალისს საერთოდ მოხსენების მოსმენისას.

ტოშელი.

სამეგრელოს ავტონომისტების საპასუხოთ

> „ვინც სახნავი უკულმართად
> მოხნას, სთესოს და მოფარცხოს,
> ის მე პურსა ნულარ მაჭმევს,
> რაც იმ ყანით გამოაცხოს".
>
> დ. გ.

გაზ. „კომუნისტში" დაიბეჭდა წერილები სამეგრელოს ავტონომისტებზე. მეც მსურს შევეხო ამ საკითხს და რამოდენიმე მოსაზრება გამოვთქვა იმის შესახებ, თუ რამდენად სწორ გზას ადგიან ეს ავტონომისტები, ანუ ეგრედ წოდებული „მაფალუელები".

ყოველმა ერმა, რომელსაც კი სურს თავისი თავი გააცნოს ქვეყანას, უსათუოდ თავისი განსაკუთრებული კულტურის და ისტორიული წარსულის უტყუარი ორიგინალობა უნდა დაამტკიცოს.

რომ მეგრელები მართლა განსაკუთრებული ერი ყოფილიყვნენ და ოდესმე მაინც ჰქონოდათ საკუთარი ენა, კულტურა, მწიგნობრობა, ისტორია და სხვა... და არავითარი ნათესაობა მათ ქართველ ერთან არ ჰქონოდათ, მაშინ განა ვინმე მათ რამეს გაუწყდავდა! მით უმეტეს ეხლანდელ დროში, საბჭოთა ხელისუფლების ხანაში! მაგრამ სამწუხაროდ მეგრელ ავტონომისტებისა, სამეგრელოს არასოდეს არ ჰქონია თავის ენაზე არც წერა-კითხვა, არც ანბანი და მწიგნობრობა, ეროვნული ორიგინალობა. მეგრელები ყველა ამას უხსოვარი დროიდან [illegible] მხოლოდ ქართულად, ქართულ მშობლიურ ენაზე. მეგრელები იყვნენ და დღესაც არიან ნამდვილი ძველი ქართველები, და პონტიის, ე. ი. შავი ზღვის პირად, ძველ კოლხეთში ოთხასი ვერსის სივრცეზე ყოფილა მათი სამშობლო გაჭიმული. სიტყვა მეგრელი და სამეგრელო-კი სულ უბრალო შემთხვევით ყოფილა ხმარებაში შემოსული. მეგრელები ძველი ქართველი ხალხია, რომელიც ძველთაგან ეხლანდელ ოდიშში ესახლა თურმე—მეტად დახელოვნებული მებაღეები ყოფილან და მცენარეების დარგვა-გადარგვა, მოვლა-პატრონობა საუცხოვოთ სცოდნიათ. ამის გამო ისინი საქართველოს სხვა კუთხეებშიც ეწვიოდენ თურმე მებაღეობას. და აი სწორედ აქედან არის წარმოშობილი სიტყვები: მეგრელი, მარგალი და სამეგრელო. მარგალი ე. ი. დამრგველი, გადამრგველი ნამდვილი ქართული სიტყვაა; და დღესაც მთელ ოდიშში სიტყვა: მარგალი ნიშნავს გლეხს, მუშას. „სი ჯიმა, მარგალი რექო დო ქინოსქუა"—შენ ძმაო, გლეხი ხარ, თუ აზნაური,—ეკითხებოდა უცნობი მეგრელი მეორეს.

მეგრელის ტომი, მეგრელი ერი ისტორიას არ ახსოვს და არც არასოდეს არ ყოფილა. მეგრული ენა იგივე ძველი ქართული ენაა და შინ ადგილობრივად სახმარებელი. და თუ დღევანდელი ქართული ენა უფრო კეთილხმოვანია და გაშალაშინებული—ეს ჩვენი, ქართველების, კულტურის ნაყოფია, ჩვენი ერის წინსვლის აშკარა ნიშანია, ისე როგორიც არის მაგალითად გაშალაშინებული და გაწმენდილი დღევანდელი ველიკოროსიის ენა, მისი ძველი ორას-სამასი წლის წინათ ყოფილ ენასთან შედარებით. რომ მეგრული ენა ქართული ენის ძირია, ამას ვერც ერთი მეგრელი ვერ უარყოფს.

ქართველი ერის პიწა-წყალს ძველთაგანვე ეწოდებოდა მარტო ორი სახელი: კოლხეთი და იბერია; ხოლო შემდეგ-კი ამ ორ სახელწოდებას ადგილობრივი სახელები დაერქვა. მაგალითად: ქართლი, კახეთი, იმერეთი, მესხეთი, ოდიში ანუ სამეგრელო (სამეგრელოზე უფრო სწორი და მართალი სახელი ოდიშია), სვანეთი, აფხაზეთი, გურია, ჭანეთი და სხვა. და აი ყველა ამ ზემოჩამოთვლილ კუთხეში ქართველთა ტომი ყოფილა დასახლებული. რომ მკითხველმა ნათლად დაინახოს მეგრელების ნამდვილი ქართველობა, მე ამის დასამტკიცებლად აქვე მოვიყვან მეგრულ ენაში ხმარებულ ქართულ სიტყვების მცირე ნაწილს, რადგანაც ყველას მოყვანა შეუძლებელია.

აი ეს სიტყვებიც: აბა, აბაზი, აბანო, აბდარი, აბედი, აგური, ადგილი, ადიდება, დიდი, ავაზაკი, ავეჯი, აზრი, ათასი, აიაზმი, ალაბი, ადგილი, ალიაქოთი, ალისფერი, ალმასი, ამაღლება, ამბავი—ამბე, ამიწ, ანბანი, ანგარიში, ანგელოზი, ანდაზა, ანდერძი, აპრილი, არზა, არიქა, არქიელი, არშინი, არწივი, ატამი, აფთიაქი, აქიმი, აქლემი, აღვირი, აღსარება, ალაპი—საკურთხი, ბაბუა, ბადალი—ტოლი, ბოდიში, ბაზარი, ბარათი, ბათმანი, ბალიში, ბამბა, ბაქი, ბარაქა, ბარგი, ბარდი, ბარვა, ბარი, ბარტყი, ბარძიმი, ბარჯგი, ბაღანა, ბალი, ბაწარი, ბებია, ბეგარა, ბედაური, ბედი, ბედნიერი, ბერი, ბელურა, ბეჭედი, ბზობა, ბილეთი, ბნედა, ბოგირი, ბოდვა, ბოდიში, ბოლოლი, ბორბალი, ბორკილი, ბოროტი, ბუზი, ბუნება, ბურთი, ბუქნა, გაბედული, გაზაფხული—გაზარხული, გალობა, განათლება, ეშმაკი, ელვა, ერბო, ვადა, დრო, ველი, ვარდი, ვარია, ზარალი, ზარი, ზარმაცი, ზაფხული, ზედაში, ზეთი, ხილი, ზეპირად, ზეცა, ზეწარი, ზიარება, სიზმარი, ზომა, ზღაპარი, ზღვა, თავადი, თათმანი, თამაში, თამასუქი, თასმა, თაყვანი, თუმანი, თესვა, თოფი, თუთუნი, თუნგი, თხა, იმედი, იორღა, ირემი, ისარი, ისლი, იშვიათი, კაბა, კალათი, კალამი, კალანდა, კალაპოტი, კალო, კალმახი, კამეჩი, კანი, კანკელი, კანონი, კაპასი, კარანდაში, კარი, კახპა, კენჭი, კერპი, კეტი, კეცი, კეხი, კვერი, კვირტი, კვიცი, კიბე, კიბო, კისერი, კოვზი, კოკა, კუბო, კუდი, კურდღელი, კურთხევა, კურო, კურტუმო, კუჭი, კუხე, ლამაზი, ლანდი, ლარი, ლაშქარი, ლები, ლექსი, ლეჩაქი, ლობიო, მაგალითი, მადა, მადიდებელი, მათხოვარი, მაიმუნი, მაკე, მაისი—მეესი, მალამო, მანათი, მადლი, მარდი, მარანი, მარგალიტი, მარტი, მაუდი, მაცხოვარი, მაწონი, მაჭარი, მახე, მახინჯი, მაჯა, მეზობელი, მელანი, მდიდარი, ღარიბი, ნალი, ნამუსი, ნება, ნემსი, ნერგი, ნერგვა, ნიავი, ნივთი, ნიორი, ნისია, ნიშანი, ნიჩაბი, ნიჭი, ნოხი, ობოლი, ნუგეში, ოთახი, ოთხი, ომი, ოხერი, პალო, პანტა, პანღური, პაპიროსი, პატიჟება, პოეტი, ჟამი, საათი, რაში—ბედაური, სადილი, სამოთხე, საიქიო, სარკე, საუკუნე, სურდო, ტალანტი, ტოლი, ტომი—მოდგმა, ტურფა, ტუსაღი, ტუჩი, ტყვია, წამალი, უბე, უბედურობა, ბელატი, უბრალო, უგვარო, უკანონო, ურჩი, ურჯული, ფართალი, ფარცხი, ფაფარი, ფერისცვალება, ფოლადი, ფონი, ფური, ფურცელი—ფოთოლი, ფშალა, ქაჯი, ქორწილი, ქრთამი, ქუდი, ღალატი, ღერი, ღვინო—ღვინი, ღობე, ღონე, ყაბალახი, ყავარი, ყაყარჩენი, ყაზახი, ყალიონი, ყანწი, ყასაბი, ყურძენი, შაირი, შალი, შამფური, შანთი, შარა, შარდი, შაური, შაქარი, შაშხი, შემოდგომა, ჩითი, ჩიტი, ჩოხა, ჩქაფი, ჩხირი, ჩხუბი, ცა—ზეცა, ცელი, ცვარი, ციება, ცისკარი, ციხე, ცოდვა, ძაფი, ძალი, ძეგლი, ძვალი, ძმარი, წამალი, [illegible], წუთი, წონა, წიწილი, წმინდა, წირვა, წყალი—წყარი, ჭაპა, ჭვალი, ჭილოფი, ჭიპი, ჭირი, ჭიქა, ჭიხვინი, ხამი, ხატი, ჯვარი, ხელმწიფე, ხოხობი, ჯამაგირი, ჯანი, ჯანმთელი, ჯარიმა, ჯაშუში, ჯიბე, ჯიგარი, ჯილდო, ჯინი, ჯირითი, ჯიუტი, ჯოგი და სხვადასხვა...

აი ამ წმინდა ქართულ ენაზე მოლაპარაკე მეგრელებს, ჯერ იყო და ამ 35 წლის წინათ ნეტარხსენებული აშორდია გამოუჩნდა ვოსტორგოვ-იანოვსკის ლოცვა-კურთხევით და იგი მოევლინა სამეგრელოს კრილე და მეთოდის როლში.

აშორდიამ დიდათ შეუწყო იმ დროს ხელი ვოსტორგოვ-იანოვსკის სამეგრელოს საქართველოდან ჩამოსაშორებლად და შეუდგა ქართულიდან მეგრულ კილოზე სამღვთო წერილის გადათარგმნას. და პირველად მან „მამაო ჩვენო" სთარგმნა, მერე სხვა ლოცვებს მიჰყო ხელი, მაგრამ მისდასაუბედუროთ ვერ მოახერხა „ღვთისმშობელი ქალწულის" მეგრულად გადათარგმნა.

ბოლოს როგორც იყო ასე სთარგმნა: „ღორონთიშ მახუალი მარიამი", „ქალწულს" კი ვერაფერი მოუხერხა. მისი შრომა მიუღებელი დარჩა მეგრელების მიერ და დაიმსხვრა.

ამის შემდეგ როგორ უნდათ ჩვენს ახლად მოვლინებულს სამეგრელოს ავტონომისტებს ქვეყანა დაარწმუნონ იმაში, რომ მეგრელი ქართველი ერის ძმა არ იყოს და ნეტა ვისთვის რა საჭიროა სამეგრელოს საქართველოდან ჩამოჭრა და ჩამოშორება. ვაი თუ აქ უფრო რომაული თქმულების მსგავსად: „დაანაწილე და იბატონე"-ს პოლიტიკას ეწევა ვინმე ვოსტორგოვ-იანოვსკის პოლიტიკის მიმდევარი.

ჩვენ გვეგონა, რომ „აშორდიზმი" სამუდამოთ მოკვდა და თურმე ჯერ კიდევ ცოცხალნი ყოფილან მისი იდეის მიმდევრები ჩვენში ბუკონია-ბესელია-ახალაიას სახით, რაც დიდათ სამწუხარო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს.

დღეს სამეგრელოს მშრომელ ხალხს ავტონომია-კი არ უნდა, არამედ დანარჩენ ქართველ მშრომელ ხალხთან მუშაობა ქვეყნის ეკონომიურ-კულტურულ წარმატებისათვის. ამიტომ მეტად საჭიროა სამეგრელოს მცხოვრებლებმა ყოველივე ეს კარგად აწონონ და მათი ძმების ქართველი ერიდან გამოყოფის და ჩამოშორების საკითხი და მეგრულ კილოზე წერა-კითხვის დაარსების საქმე ერთხელ და სამუდამოდ მოხსნან და შორს შავს ზღვაში გადაისროლონ. ეხლა ისეთი დროა, რომ ყველა, დიდი და პატარა, მოკავშირეს ეძებს და ჩვენ-კი გამოყოფა მოგვინდომებია. ნუ ვიზამთ ისეთ საქმეს, რომ ჩვენზე, მეგრელებზე, სთქვან: „კარგი რამ გჭირდეს, ვიკვირდე, ავი რა საკვირალია".

ვასილ მახხულია.

ინგლისის მუშათა მოძრაობა რევოლიუციონურ გზას ადგება

ინგლის-საბჭოთა პროფკავშირების სათათბირო კომიტეტის დეკლარაცია

მოწოდება პროფმოძრაობის გაერთიანებისათვის 11 მილიონი მუშის სახელით

მუშათა კლასი მშვიდობიანობის სადარაჯოზე

ინგლის-საბჭოთა პროფკავშირების სათათბირო კომიტეტის დეკლარაცია

ლონდონი, 22 სექტ. ინგლისის პროფკავშირთა გენერალურმა საბჭომ მოიწონა ინგლის-საბჭოთა კავშირის გაერთიანებულ სათათბირო კომიტეტის დეკლარაცია, რომელიც მიღებული იყო კომიტეტის მიერ ხუთშაბათის სხდომაზე **ტომსკის, დოგადოვის, იაროვსკის, პერსელის, ხიქსის, ბენ ტილეტის და ციტრინის მონაწილეობით.**

დეკლარაციაში ნათქვამია: „გაერთიანებული სათათბირო კომიტეტი, რომელიც წარმოადგენს საბჭოთა კავშირის და ინგლისის პროფმოძრაობას, თავის სხდომაზე ლონდონში, ხუთშაბათს, 1925 წ. 17 სექტემბერს, **დიდი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ შეთანხმება გაერთიანებულად მოქმედების შესახებ, რომელიც დაიდო ლონდონის კონფერენციაზე 1925 წლის 6, 7, 8 აპრილს, დამტკიცებულია როგორც რუსეთის, ისე ინგლისის მხრივ".**

სახელმწიფოთა მეტი ნაწილის სამეურნეო მდგომარეობა—, ნათქვამია დეკლარაციაში,—გამწვავებული დოუესის გეგმის ცხოვრებაში გატარების გამო, გაუარესდა მიმდინარე წლის დასაწყისიდანვე. უმუშევრობა და მისი შედეგები მსოფლიო მოვლენას წარმოადგენენ და იზრდებიან შეუჩერებლად.

მწარმოებელთა კლასის შემოტევა სამუშაო დღის და სამუშაო ხელფასის წინააღმდეგ უფრო და უფრო ძლიერდება და ღებულობს გეგმიან ხასიათს. ეკონომიური რეაქციის გაძლიერებასთან ერთად შეუჩერებლად ძლიერდება პოლიტიკური რეაქციაც მუშათა კლასის და მისი ინტერესების წინააღმდეგ. **სულ უფრო და უფრო ახლოვდება და თვალსაჩინო ხდება ომის საფრთხე.**

საგარანტიო ხელშეკრულების მიზანია გერმანიის ჩაბმა სამხედრო კავშირში საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ. ყოველივე ამის გამო პროფკავშირთა მსოფლიო ინტერნაციონალის შექმნა გაცილებით უფრო აუცილებელი გახდა, ვინემ ოდესმე.

გაერთიანებული სათათბირო კომიტეტი, გამხნევებული იმ 11 მილიონ შეკავშირებულ მუშის მტკიცე გადაწყვეტილებით, რომელთაც წარმოადგენს ეს კომიტეტი, მოუწოდებს ყველა ქვეყნის მუშათა კლასს, მის ორგანიზაციებს და მის ბელადებს შეუერთონ თავიანთი ძალ-ღონე ინგლისის და საბჭოთა პროფკავშირების ღონისძიებებს ყველა იმ დაბრკოლებების გადალახვაში, რომლებიც წინ ეღობება პროლეტარიატის ნაციონალურ და საერთაშორისო მთლიანობას, და **ამით ხელს შეუწყობენ ისეთ ერთიანი მსოფლიო ფედერაციის დაუყოვნებლივ შექმნას, რომელშიაც შევლენ ყველა ქვეყნის პროფკავშირები.**

ტომსკი ტრედ-იუნიონების ყრილობის შესახებ

რიგა, 22 სექტემბერი. 22 სექტემბერს რიგაში ჩამოვიდა საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს დელეგაცია ტომსკის მეთაურობით, რომელიც ბრუნდება ინგლისიდან მოსკოვში.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს **ტომსკიმ** განაცხადა, რომ ინგლისის პროფკავშირთა ყრილობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პროფმოძრაობის მთლიანობისათვის ბრძოლის საქმეში. **საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეგობრულად შეხვედრა, ინგლის-საბჭოთა კავშირის სათათბირო კომიტეტის მუშაობის ანგარიშის ერთხმად მოწონება და იმპერიალიზმის წინააღმდეგ ყრილობის მიერ დიდი უმრავლესობით მიღებული რეზოლიუცია მოწმობენ, ტომსკის სიტყვით, ინგლისის მუშათა მოძრაობის საგრძნობლად მარცხნივ გადახრას.**

სრულიად რუსეთის პროფსაბჭოს დელეგაციასთან ერთად მოსკოვში მოდის ინგლის-საბჭოთა კავშირის სათათბირო კომიტეტის წევრი და საამშენებლო მუშების კავშირის წარმომადგენელი **ჯონ ხიქსი.**

ჩინელი მილიტარისტები განმანთავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ

შანხაის პოლიციამ პროფსაბჭოს შემდეგ დახურა 16 პროფკავშირი.

მუშათა საპროტესტო მიტინგების გარეკვა შანხაიში.

გენ. ჩჟენ-ცზიუ-მინი ემზადება კანტონზე გასალაშქრებლად.

ჩინეთის რკინისგზელთა კავშირის მოწოდება.

შეერთებული შტატები და ჩინეთი

ნიუ-იორკი, 22 სექ. ბალტიმორაში შესდგა ამერიკელ მოღვაწეთა კონფერენცია. იხილავდენ ჩინეთთან დამოკიდებულების საკითხს. კონფერენციაზე სჭარბობდენ ჩინეთთან მეგობრული ურთიერთობის დაცვის მომხრენი.

კონფერენციის სხდომები გადადებულია. **მიღებულია რეზოლიუცია ჩინეთში უცხოელთა ექსტერიტორიალურ უფლების გაუქმების შესახებ. კონფერენცია აგრეთვე მომხრეა, რომ ჩინეთს მიეცეს საბაჟო ავტონომია.**

ბალტიმორას კონფერენციაზე განმეორებულ იქნა ჩინეთის ოფიციალური და არაოფიციალურ წარმომადგენელთა განცხადება, რომელნიც აღნიშნავდენ, რომ იგინი არ ენდობიან მომავალ საერთაშორისო კონფერენციებს და გადაწყვეტილი აქვთ ახალი ძალღონით დაიცვან ჩინეთის დამოუკიდებლობა.

ჩინეთის რკინისგზელების კავშირის მოწოდება

პეკინი, 22 სექ. ჩინეთის რკინისგზელთა ფედერაციამ მიმართა მოწოდებით პროფინტერნს, საკავშირო პროფსაბჭოს, ინგლისის პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს და ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო ფედერაციას.

მოწოდებაში ნათქვამია: „მას შემდეგ, რაც 7 სექტემბერს ინგლისის პოლიციამ ამოჟლიტა მუშები შანხაიში, მას შემდეგ, რაც ჩჟან-ძზო-ლინის გენერლებმა ძალით ჩაქრეს გაფიცვები ტიან-ცზინში და კანტონის მაღაროებში, მილიტარისტებმა **მახვილი ჩასცეს ჩინეთის მუშათა მოძრაობის გულს, ძალით დაშალეს შანხაის პროფკავშირთა საბჭო, რომელშიაც გაერთიანებულია სხვადასხვა პროფკავშირის 200,000 შეკავშირებული მუშა.** ამის საბაბად მათ მოიყვანეს ის, რომ პროფკავშირები წარმოადგენენ უკანონო ორგანიზაციებს, რომლებიც ხელს უშლიან მუშაობის განახლებას ფაბრიკებში. ჩინეთის შეკავშირებული მუშების სახელით ჩვენ მოგიწოდებთ თქვენ მიიღოთ ზომები ჩინეთის მუშათა მოძრაობის განადგურების თავიდან ასაცილებლად".

შანხაის პროფკავშირების დარბევა

პეკინი, 22 სექ. **22 სექტემბერს შანხაის პოლიციამ დახურა 16 პროფკავშირი.** ქალაქის მუშათა უბნებში გაიმართა მრავალრიცხოვანი საპროტესტო მიტინგები, **რომლებიც გარეკილ იქნენ პოლიციის მიერ.**

მუშებმა საპროტესტო დეპეშები გაუგზავნეს პეკინის მთავრობას და პროვინციების ხელისუფლების წარმომადგენლებს ნანკინში.

შანხაის მოსახლეობის დემოკრატიული წრეები აღშფოთებული არიან მილიტარისტების საქციელით.

შანხაის პროფსაბჭოს გარეკვის გამო

პეკინი, 22 სექ. მდივან დუან-ძი-ჩჟუამ განაცხადა, რომ პეკინის მთავრობას არ გაუცია განკარგულება შანხაის პროფსაბჭოს გარეკვის შესახებ. იტყობინებიან, რომ გარეკილ საბჭოს ფუნქციები გადაეცა საზოგადოებრივ თავდაცვის კომიტეტს, რომელიც შესდგება სავაჭრო პალატის, საზოგადოებრივ და მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან. კომიტეტი განაგრძობს მუშაობას გაფიცულ მუშების დახმარების აღმოსაჩენათ.

ჩან-ძო-ლინის და სახალხო ჯარების წარმომადგენელთა თათბირი.

პეკინი, 22 სექტ. პეკინში შესდგა ჩან-ძო-ლინის, ფინ-უი-სიანის (პირველი სახალხო არმიის სარდალი), იაო-ეეი-ჩუნის (მეორე სახალხო არმიის სარდალი) და სუნ-იაო (მესამე სახალხო არმიის სარდალი) წარმომადგენლების თათბირი. თათბირზე განაცხადეს, რომ ხმები, თითქო მოსალოდნელი იყოს ჩან-ძო-ლინისა და სახალხო არმიების შორის განხეთქილება, ყოველივე საფუძველს მოკლებულია. გადაწყდა მიღებულ იქნას ზომები, რომ შემდეგში ასეთი ხმები არ გავრცელდეს, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს მომავალ საბაჟო კონფერენციაზე.

გალაშქრება კანტონზე

პეკინი, 22 სექ. აქ მიღებული ცნობების თანახმად, ჰონკონგის ვაჭრების მიერ მოსყიდული გენერალი ჩჟენ-ცზიუნ-გინი ჩავიდა სვატოუს ნავთსადგურში, სადაც აწყობს 20,000 კაცისაგან შემდგარ არმიას კანტონზე გასალაშქრებლად.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი საბერძნეთში

მოსკოვი. 23 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საბერძნეთში—ამხ. უსტინოვი უკვე გაემგზავრა ათინისაკენ.

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი მონღოლეთში

ულან-ბატორ, 22 სექტ. ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის ახალი სრულუფლებიანი წარმომადგენელი მონღოლეთში ნიკიფოროვი, რომელსაც შეხვდენ მონღოლეთის მთავრობის წევრები და საპატიო ყარაული.

ავტო-გადარბენის მონაწილენი საბჭოთა კავშირის შესახებ

პარიზი, 22 სექტემ. კრებსმა და დიუმულენმა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საკავშირო ავტო-გადარბენაში, გამოაქვეყნეს „აეროსპორტ"-ში თავისი შთაბეჭდილებები, **რომელშიაც კმაყოფილებას გამოსთქვამენ საბჭოთა კავშირში მოგზაურობით.** კრებსი ეხება დიდ აღფრთოვანებას, რომლითაც ხვდებოდენ გადარბენის მონაწილეებს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში, **წესრიგს და მორთულობას, რომელმაც ისინი აღტაცებაში მოიყვანა და დასძენს, რომ ის მოხარული იქნებოდა მიეღო მონაწილეობა ახალ ავტო-გადარბენაში საბჭოთა კავშირში.**

დუკა რუმინეთ-საბჭოთა დამოკიდებულების შესახებ

ვენა, 22 სექტ. რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დუკამ უცხოელ კორესპონდენტებს განუცხადა, რომ დნესტრზე თითო-ოროლა შეჯახებისა და პროპაგანდის შესახებ უთანხმოების გარდა—რუმინეთ-საბჭოთა დამოკიდებულება ერთობ წესიერია.

დუკამ უარჰყო ის ცნობა, თითქოს საფრანგეთსა და რუმინეთ შორის დადებულ იყოს სამხედრო ხელშეკრულობა უნგრეთის წინააღმდეგ.

ფინეთის მუშათა დელეგაცია მოემგზავრება საბჭოთა კავშირში

მოსკოვი, 23 სექტ. მიღებულია ცნობა, რომ ფინეთის მუშათა ორგანიზაციებს აურჩევიათ 15 კაცისაგან შემდგარი დელეგაცია საბჭოთა კავშირში გამოსაგზავნათ. დელეგატების უმრავლესობა უპარტიოები და პროფკავშირის აქტიური მუშაკებია.

ბესარაბიელ გლეხების „გასამართლება"

ვენა. 22 სექტ. კიშინიოვში ბესარაბიელ გლეხების პროცესზე უკვე დამთავრდა საბრალმდებლო აქტის რუსულ ენაზე გადათარგმნა. დამცველთა კოლეგიამ პროტესტი განაცხადა [illegible] აქტის სამხედრო სასამართლოში გარჩევის გამო, რადგან აჯანყების დროს აჯანყების რაიონში არ ყოფილა გამოცხადებული საალყო წესები. სამხედრო პროკურორმა განაცხადა, რომ ბრალდებულებს ბრალათ ედებათ რუმინეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ აჯანყება. ამიტომ მიუხედავად ყოველგვარი პირობებისა, ისინი ექვემდებარებიან სამხედრო სასამართლოს. სასამართლომ არ შეიწყნარა დამცველთა შუამდგომლობა.

აღმოსავლეთის ერები იმპერიალიზმის წინააღმდეგ

ინგლისის გაზეთები სწერენ, რომ მოსულის საკითხის გართულება „საფრანგეთ-იტალია-ამერიკის ინტრიგებით აიხსნება“

ოსმალეთის დელეგაცია ჟენევაში უარყოფს გაზეთ „მატენის“ ჭორებს თითქოს მოსულის საკითხის გამწვავება საბჭოთა აგიტაციის შედეგია

ოსმალეთი კატეგორიულად მოითხოვს მოსულის რაიონის დაბრუნებას

ბეირუთში (სირია) სიკვდილით დასაჯეს 11 არაბი.—ფრანგებმა გააძლიერეს რეპრესიები სირიაში.—პალესტინელ არაბების მოთხოვნილებები.—ინგლისელებს ეშინიათ პალესტინაში აჯანყების დაწყების.—სპარსეთის შახმა, რესპუბლიკანური აჯანყების დამარცხების გამო, გადასწყვიტა თეირანში დაბრუნება.

„ოსმალეთის უფლებები მოსულზე უდავოა“

ანგორა 12 სექ. დიდი აღელვება და უკმაყოფილება გამოიწვია ოსმალეთში ცნობამ, რომ ერთა ლიგამ გადასწყვიტა შეეკითხოს ჰააგის ტრიბუნალს მოსულის საკითხის შესახებ. ანატოლიის დეპეშათა სააგენტომ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც ნათქვამია: **„ოსმალეთის უფლებები მოსულზე უდავოა. მოსახლეობას სურს შეუერთდეს ოსმალეთს. გადადებების და ინტრიგების დრო უკვე წავიდა. ოსმალეთის მტრებმა უნდა შეიგნონ, რომ ოსმალეთში ახალი წესწყობილებაა და მასთან შეიძლება ლაპარაკი, მხოლოდ როგორც თანასწორთან.“**

მოსულის საკითხი გართულდა

ლონდონი, 22 სექტემბერი. ოფიციალურ წრეებში აცხადებენ, რომ სერიოზული მდგომარეობა მოსულში აიხსნება მით, რომ ოსმალები ექცევიან „უცხოეთის ზოგიერთ იდუმალ ძალების“ გავლენის ქვეშ. ამ ძალებში „უსათუოდ შედის მოსკოვი, რომელიც აღვივებს ინგლისის საწინააღმდეგო პროპაგანდას. და, ალბად, იძლევა ფინანსიურ დახმარებას“.

იმავე წრეებიდან გამოსული ცნობებში ნათქვამია, რომ მოსულში ადგილი აქვთ კიდევ უფრო სახიფათო გავლენებს, ვინემ მოსკოვისას: „ეს არის ნავთის დიპლომატია, რომელიც უძლიერეს გავლენას ახდენს ერთა ლიგაზე“. თუმცა ინგლისის მთავრობამ „უხვად“ უზრუნველჰყო ამერიკის, საფრანგეთის და იტალიის მონაწილეობა ნავთიან ადგილების ექსპლოატაციაში, მაგრამ მიუხედავათ ამისა პაიების ახლანდელ მონაწილეების დაინტერესებული კომპანიები უსამართლოდ სთვლიან და ყოველივე ძალ-ღონეს ხმარობენ, რომ გააძლიერონ ოსმალეთის წინააღმდეგობა და უზრუნველჰყონ ნავთის კონცესიების მიღება ანგორის მთავრობისაგან.

„მატენ“-ის ჭორები

მოსკოვი, 23 სექტემბერი. პარიზის გაზეთმა „მატენ“-მა, რომელიც ცნობილია თავისი უსირცხვილო ჭორებით საბჭოთა კავშირის შესახებ, დაბეჭდა 14 სექტემბერს წერილი მოსულის საკითხის შესახებ; წერილს ხელს აწერს გაზეთის სპეციალური ჟენეველი კორესპონდენტი ზაუერვეინი. წერილში ნათქვამია, რომ თითქოს „ოსმალეთის ერთ-ერთ დელეგატს“ განუცხადებიოს, რომ „საბჭოთა ელჩმა ანგორაში უკვე შეიმუშავა გეგმა გაძლიერებული აგიტაციისა სამანდატო ტერიტორიებში, რათა გამოიწვიოს აჯანყება ირაქში, მესოპოტამიაში, სირიაში და პალესტინაში, თუ ერთა ლიგა უარყოფს ოსმალეთის მოთხოვნილებებს, რაშიაც დარწმუნებულია საბჭოთა კავშირიო“.

ოსმალეთის დელეგატი, ზაუერვეინის სიტყვით, აღნიშნავს აგრეთვე, რომ „უკვე 6 წელია, რაც რუსეთი მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ მოამზადოს აჯანყებები აღნიშნულ ოლქებშიო“.

საკავშირო დეპეშათა სააგენტო „მატენ“-ის ჭორების შესახებ.

ოსმალეთის ავტორიტეტული წყაროების მიხედვით, ჩვენ უფლება გვაქვს განვაცხადოთ, რომ ამ განცხადებაში, რომელსაც აწერენ ოსმალეთის უცნობ დელეგატს ჟენევაში, **არც ერთი სიტყვა სიმართლეს არ შეეფერება.** თვითონ ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარემ ჟენევაში, ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა თევფიკ-რუშდი-ბეიმ ამ წერილის წაკითხვისთანავე დაუყონებლივ პროტესტი განუცხადა „მატენ“-ის რედაქციას და მოსთხოვა ამ ცნობის ოფიციალური უარყოფის გამოქვეყნება.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ზაუერვეინის ჭორი, რომლის მიზანია სახელი გაგვიტეხოს ჩვენ და ოსმალეთს ჟენევაში შეკრებილ სახელმწიფოების თვალში, უკვე მოედო ევროპის და თვით ამერიკის ჩვენს წინააღმდეგ მტრულად განწყობილ პრესას.

აჯანყება სირიაში

ბერლინი, 22 სექტემბერი. საფრანგეთის ოფიციალური ცნობის თანახმად, დრუზებმა 20 ენკენისთვეს სასტიკი იერიში მიიტანეს მესსიფრეიზე, სამხრეთით სუიედიდან. ფრანგების ცნობის თანახმად, დრუზები სასტიკად დამარცხდნენ: დაკარგეს 500 მოკლული და ამდენივე დაჭრილი. ფრანგების ზარალი უმნიშვნელოა.

იმავე დღეს მოგერიებული იქნა ფრანგების იერიში სუიედაზე.

ესპანელების დამარცხება მაროკოში

პარიზი, 22 სექტემბერი. ესპანელების დესანტი ალხუსემასიდან დასავლეთით მარცხით დამთავრდა. დესანტმა ვერ შესძლო წინ წაწევა **და მას მოელის სრული განადგურება.**

„ლ'იუმანიტე“ იუწყება, რომ ესპანელთა ზოგიერთ პოლკებში აჯანყება დაიწყო. ჯარისკაცები უარს ამბობენ მაროკოში წასვლაზე. მალაგაში აჯანყებულ ჯარისკაცების წინააღმდეგ პოლიცია გამოიყვანეს.

პალესტინელ არაბების მოთხოვნილებები

იერუსალიმი, 22 სექ. პალესტინაში ინგლისის უმაღლეს კომისრის პლიუმერის ჩასვლის გამო, არაბთა ნაციონალური კრების აღმასრულებელმა კომიტეტმა მიმართა მას მემორანდუმით, რომელშიაც მოითხოვს ამნისტიას ყველა პოლიტიკურ პატიმრებისათვის, პროტესტს აცხადებს პალესტინაში ებრაელების მასიური ემიგრაციის წინააღმდეგ; მემორანდუმი მოითხოვს აგრეთვე შემცირებული იქნეს გადასახადები სოფლის მცხოვრებლებზე.

11 არაბის დასჯა სიკვდილით.

ბეირუთი, 22 სექტ. სისრულეში მოიყვანეს განაჩენი 11 არაბის მიმართ, რომელთაც ორი ფრანგი ოფიცრის მოკვლისათვის სიკვდილით დასჯა ჰქონდათ გადაწყვეტილი.

რეპრესიები სირიაში ძლიერდება.

ბეირუთი, 22 სექტემბერი. საფრანგეთის სარდლობამ სირიაში დანიშნა გილალ-ბეი, ცნობილი ფრანკოფილი, იუსტიციის მინისტრად დამასკში. მისი დანიშვნის მიზანია რეპრესიების გაძლიერება რევოლიუციონური მოძრაობის წინააღმდეგ.

ინგლისელებს პალესტინაში აჯანყების ეშინიათ.

იერუსალიმი. 22 სექ. სირიაში მომხდარ აჯანყების გამო, ინგლისის კოლონიალურმა ხელისუფლებამ განკარგულება გასცა მოახდინონ ჩხრეკა პალესტინის ყველა სოფლებში იარაღის აღმოჩენის მიზნით. ინგლისის დამსჯელი ექსპედიცია მიმართავდა საშინელ ტანჯვა-წამებას. არაბთა საჩივრები პალესტინის ცენტრალურ მთავრობის სახელზე უყურადღებოდ იქნა დატოვებული.

სპარსეთის შახის დაბრუნება თეირანში.

თეირანი. 22 სექ. სპარსეთის შახმა დეპეშით აცნობა სპარსეთის პრემიერს, რომ მან გადასწყვიტა ახლო მომავალში ბომბეით დაბრუნდეს სპარსეთში. სპარსეთის პრემიერმა უპასუხა, რომ პირადათ შეხვდება მას.

შახი უკვე ორი წელია ევროპაში იმყოფება „ჯანმრთელობის აღსადგენად“. სპარსეთის პრემიერი რიზახანი დარჩა ფაქტიურ დიქტატორად ამ ხნის განმავლობაში. შახის გამგზავრებას მოჰყვა მასიური უკმაყოფილება შახის დინასტიის წინააღმდეგ და მოძრაობა რესპუბლიკის დამყარების სასარგებლოდ. რესპუბლიკანური მოძრაობის დამარცხება საშუალებას აძლევს შახს დაბრუნდეს თეირანში.

რა ხდება პოლონეთში

პოლონეთის პოლიცია ნადირობს გლეხებზე

ვარშავა. 22 სექ. ბელოსტოკში პოლიცია ახდენს მასიურ დაპატიმრებას. **დაპატიმრებულ გლეხებს სცემენ და საშინლად აწამებენ. დაპატიმრებულებს შეუკრავენ ფეხებს, გაუყრიან ფეხსა და ფეხს შუა ჯოხს, დაჰკიდებენ ფეხებით და ატრიალებენ სანამ გრძნობა არ დაეკარგებათ.** ზოგიერთ შემთხვევაში დაპატიმრებულებს უსხამენ კუჭში 6—8 ბოთლ წყალს, შემდეგ შესდგებიან ფეხებით მუცელზე და ისევ პირიდან ადენენ წყალს, ეს მეორდება რამოდენიმეჯერ.

პოლონეთის „ოხრანკის“ მეთოდები

ვარშავა. 22 სექ. ფრანგ მწერლების პროტესტის საპასუხოდ თეთრი ტერორის წინააღმდეგ პოლონეთში, პოლონელ მწერლების და ჟურნალისტების გაერთიანებამ გამოაქვეყნა წერილი, რომელშიაც ცდილობს უარჰყოს თეთრი ტერორის არსებობა პოლონეთში და აცხადებს, რომ პოლონეთის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება სიყალბეაო. გაერთიანება აცხადებს, რომ პოლონეთმა უნდა მიიღოს თავდაცვითი ზომები საბჭოთა კავშირის და გერმანიის პოლიტიკის წინააღმდეგ.

გაერთიანება ცდილობს დაიცვას პოლონეთში არსებული მდგომარეობა და კრინტსაც არ სძრავს საშინელი ტერორის მაგალითების შესახებ.

წერილს ხელს აწერენ ვაცლავ სეროშევსკი, სტეფან ჟერომსკი, იონ დორენოვიჩი და სხვები.

ამბოხება კელეცის ციხეში.

ვარშავა, 22 სექტემბერი. 20 სექტემბერს დილით კელეცის ციხეში სისხლის სამართლის პატიმრებმა მოახდინეს ამბოხება, რომელიც გამოიწვია საშინელმა რეჟიმმა და სასტიკმა მოპყრობამ ადმინისტრაციის მხრივ.

დაპატიმრებულებმა განაიარაღეს ციხის მცველი რაზმების ნაწილი, ხელში ჩაიგდეს ციხის კანცელიარიაში 20 ვინტოვკა და დიდძალი ვაზნები. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ტუსაღებმა ხელში ჩაიგდეს მთელი ციხე.

ამ დროს კელეცში ჩამოვიდენ პოლიციის რაზმები და ალყა შემოარტყეს ციხეს. მხოლოდ საღამოს, სასტიკი ბრძოლის შემდეგ, პოლიციამ შესძლო ციხის დაკავება. ბრძოლის დროს მოკლულ იქნა 6 პატიმარი და ერთი პოლიციელი, მძიმედ დაჭრილია 20 პატიმარი და 2 პოლიციელი.

ერთა ლიგის განიარაღების კომისიაში

პარიზი, 22 სექტემბერი. თავის რეზოლიუციაში განიარაღების შესახებ განიარაღების კომისია ავალებს ხალხთა ლიგის საბჭოს მიიღოს ყოველივე ზომები და ემზადოს განიარაღების კონფერენციის მოსაწვევათ იმ დროსთვის, როდესაც საბჭო სცნობს, რომ საერთო პირობები ხელს უწყობს განიარაღების შესაძლებლობას.

საგარანტიო ხელშეკრულების გარშემო

გერმანია და საგარანტიო ხელშეკრულება

ბერლინი, 22 სექტ. რეიხსტაგის გარეშე საქმეთა კომისიის სხდომა გადაიდო რამდენიმე დღით, რადგან მთავრობას ჯერ კიდევ არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება, თუ როგორი უნდა იქნეს გერმანიის პასუხი საგარანტიო ხელშეკრულების საკითხის შესახებ.

სოციალ-დემოკრატიული „ფორვერტს“ სწერს, რომ „მთავრობის გაუბედაობა უდრის უბადრუკობას და სახელს უტეხს გერმანიასო“.

მემარჯვენეები საგარანტიო ხელშეკრულების წინააღმდეგ

ბერლინი, 22 სექტ. ბერლინში მიღებულია მემარჯვენე ორგანიზაციების ახალი საპროტესტო განცხადებები საგარანტიო ხელშეკრულების დადების და ერთა ლიგაში გერმანიის შესვლის წინააღმდეგ.

გერმანია ემზადება საგარანტიო კონფერენციისათვის

ბერლინი. 22 სექ. ვოლფის სააგენტო იტყობინება, რომ 22 სექტემბერს შესდგა მთელი რიგი წინასწარ თათბირებისა, რადგან ხვალ უნდა შესდგეს მინისტრთა საბჭოს სხდომა საგარანტიო ხელშეკრულების საკითხის განსახილველად.

ხუთშაბათს უნდა შესდგეს მინისტრთა საბჭოს სხდომა პრეზიდენტ ჰინდენბურგის თავმჯდომარეობით. პარასკევს კონფერენციაზე არიან მოწვეული ბერლინში გერმანიის ცალკე რესპუბლიკების პრეზიდენტ-მინისტრები.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ძვირფასი არქივი.

ლენინგრადი, 23 სექტემბერი. სახალხო ბიბლიოთეკაში გახსნეს ცნობილ ბიბლიოგრაფის გაევსკის არქივი. გაევსკი იყო ბრალდებულთა ერთ-ერთი დამცველი 1881 წლის 1 მარტის საქმის გამო, რომელიც შეეხება ალექსანდრე 2-ის მოკვლას. არქივში ნაპოვნია 10-ზე მეტი წერილი დოსტოევსკისა, წერილები ტურგენევისა, სალტიკოვ-შჩედრინისა და ტოლსტოის.

რადიოაქტიური მადანი თეთრი ზღვის ნაპირებზე.

ლენინგრადი, 23 სექტემბერი. სამეცნიერო აკადემიის მინერალოგიურ მუზეუმის თანამშრომელმა ლაბუნცევმა ჩამოიტანა ლენინგრადში თეთრი ზღვის ნაპირებზე მის მიერ აღმოჩენილ რადიოაქტიური მადნის ნიმუშები. რადიუმის ინსტიტუტში მოხდენილმა გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ეს მადანი, მასში ურანის შემადგენლობის რაოდენობით, შეეფარდება მადანს, რომელსაც იღებენ ჩეხო-სლოვაკიაში. თეთრი ზღვის ნაპირზე მადნის ფენების გამოსაკვლევად გაემგზავრა აკადემიკოსი ფერსმანი, აკადემიის მეცნიერ თანამშრომელთა თანხლებით.

ცდები ღრუბლების შესაქმნამად.

ლენინგრადი, 23 სექტემბერი. პროფესორი მოსკოვიტინოვი გაემგზავრა ყირიმში, სადაც მისი ხელმძღვანელობით აი-პეტრის მეტეოროლოგიურ სადგურში მოხდენილი იქნება ჩვეულებრივი ღრუბლების საწვიმარ ღრუბლებათ გადაქცევის ცდები.

მოლაპარაკება სახალინის კონცესიებზე

ბანკეტი

მოსკოვი, 23 სექტ. 19 სექტემბერს იაპონიის ნავთისა და ქვა-ნახშირის წარმოებათა კორპორაციის წარმომადგენლებმა გაუმართეს ბანკეტი მთავარ საკონცესიო კომიტეტის წარმომადგენლებს, რომლებიც აწარმოებენ მოლაპარაკებას იაპონიის წარმომადგენლებთან სახალინის კონცესიების გარშემო.

ბანკეტს დაესწრენ იაპონიის ელჩი ტანაკა და იაპონიის საელჩოს სხვა წევრები.

სიტყვა წარმოსთქვა ამხ. იოფემ, რომელმაც აღნიშნა მოლაპარაკებათა წარმატებით მიმდინარეობა და გამოსთქვა რწმენა, რომ მოლაპარაკება მიყვანილი იქნება ბოლომდე.

ნაწარმოების ღირსების გასაუმჯობესებლათ

მოსკოვი, 23 სექტ. ტროცკის თავმჯდომარეობით შესდგა ნაწარმოების ღირსების გამომკვლევ საგანგებო სათათბიროს კრება, სადაც მოსმენილ იყო მოხსენება, თუ როგორ ებრძოლონ წარმოებაში გამეფებულ სხვადასხვა ხრიკებს და საიდუმლოებათ.

ტროცკიმ განაცხადა, რომ აუცილებლათ უნდა იყოს დაცული სამხედრო საიდუმლოება, აგრეთვე ის საიდუმლოებანი, რომელნიც შეადგენენ ჩვენს საკუთრებას და არ უწყიან საზღვარგარეთ. დაცულ უნდა იყვეს გამომგონთა ინტერესები და უფლებანი. ყოველნაირათ უნდა იყვეს წაქეზებული გამოგონება და მიღებულ იქნეს ზომები ჩვენი საპატენტო უფლებების გავრცელების შესახებ.

სავალდებულო სამხედრო სამსახური

მოსკოვი, 23 სექტ. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა კანონპროექტი სავალდებულო სამხედრო ბეგარის შესახებ საბჭოთა კავშირში.

კანონპროექტი აღნიშნავს, რომ იარაღით ხელში საბჭოთა კავშირის დაცვა წარმოადგენს არა მარტო მშრომელთა საპატიო უფლებას, არამედ მათ მოვალეობასაც. ამ უფლებას მოკლებული არიან არა მშრომელი ელემენტები და, საერთოდ, ის პირნი, რომლებსაც წართმეული აქვთ საარჩევნო უფლება და რომლებიც სამაგიეროთ მშვიდობიანობის დროს იხდიან სპეციალურ სამხედრო გადასახადს.

კანონპროექტი ყველა მშრომელთათვის, რომლებიც თავისი ფიზიკური მდგომარეობით გამოდგებიან სამხედრო ბეგარისათვის, აწესებს სავალდებულო სამხედრო ბეგარის ვადას 19 წლიდან 40-დე. სამხედროვალდებულნი ნამდვილ სამხედრო სამსახურში იმყოფებიან ძალიან მცირე ხანს: ქვეითა ნაწილებში—2 წელიწადი, სპეციალურ ნაწილებში—3 წელიწადი, საზღვაო ფლოტში—4 წელიწადი. სამხედროვალდებულნი, ნამდვილ სამხედრო ბეგრის მოხდის შემდეგ, გადაირიცხებიან რეზერვში.

რაც შეეხება არმიის საკომანდო შემადგენლობას, საკადრო ნაწილებში მათ მიერ სავალდებულო სამხედრო ბეგრის მოხდის შემდეგ გადაირიცხებიან არმიის რეზერვში, საიდანაც მისი ერთი ნაწილი ჩაირიცხება ცვალებად შემადგენლობაში, ხოლო მეორე ნაწილი გამოყენებული იქნება წვევამდელთა მომზადებისათვის.

მუშათა მოძრაობა

ინდოეთი

100-000 გაფიცული ბომბეიში

ლონდონი, 21 სექტ. გაფიცულთა რიცხვი ბომბეიში აღწევს 100.000 კაცამდე. გაფიცვა გავრცელდა 87 წარმოებაში.

ლონდონი, 21 სექტ. ბომბეიში გაფიცულ ფეიქრების რიცხვი ავიდა 125,000-დე.

სამხრეთ-აფრიკა

მეზღვაურების გაფიცვა

ლონდონი, 21 სექტ. კაპშტადტიდან მოვიდა გემი „არუნდელ კასტელ“, რომლის მთელს კომანდას შეადგენდა სამხრეთ აფრიკიდან ჩამოყვანილი 20 მეზღვაური.

კაპშტადტის სასამართლოში აღძრულია საჩივარი 530 გაფიცულ მეზღვაურის წინააღმდეგ.

სხვა გემების მოსამსახურეები თათბირებს მართავენ შექმნილი მდგომარეობის გამო. გემი „სვანზი“, რომელიც იდგა დურბანში გავიდა ზღვაში.

საფრანგეთი

2 საათის გაფიცვა პარიზის ტელეგრაფის და ტელეფონის სადგურებში

პარიზი, 21 სექტ. ტელეგრაფის და ტელეფონის ცენტრალურ სადგურების მოსამსახურეებმა, რომლებიც არ არიან კმაყოფილი მთავრობის პროექტით ჯამაგირის მომატების შესახებ, პროტესტის ნიშნად გამოაცხადეს 2 საათის გაფიცვა. 20 სექტემბერს 11 საათიდან დღის 1 საათამდე პარიზში არ მუშაობდა არც ტელეგრაფი და არც ტელეფონი. გაფიცვა წესიერად ჩატარდა.

საბჭოთა აჭარისტანში

ოსმალეთ-საბჭოთა სანაპირო კომისია ბათომში

20 სექტემბერს, დღის 11 საათზე, სარფიდან ბათომში ჩამოვიდა ოსმალეთის დელეგაცია, რომელსაც დავალებული აქვს საბჭოთა დელეგაციასთან ერთად საბჭოთა კავშირის და ოსმალეთს შორის საზღვრების გამიჯვნა.

დელეგაციაში შედის 7 კაცი მოჰ. პახრინკის თავმჯდომარეობით.

ნავთსადგურში დელეგაციას შეხვდენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. დელეგაცია მიპატიჟებულ იქნა საუზმეზე სასტუმრო „ფრანციაში“.

საუზმის შემდეგ დელეგაციამ ინახულა ოსმალეთის გენერალური კონსული ბათომში, ს. ს. ს. რ. გარეშე საქმეთა სააგენტოს წარმომადგენელი ამხ. გეტეი, არმიის N-დივიზიის უფროსი და ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე, რომლებთანაც დელეგაციას ჰქონდა მოკლე მეგობრული საუბარი.

საღამოს 7 საათზე, დელეგაციის საპატივცემლოთ სასტუმრო „ფრანციაში“ გაიმართა დიდი ბანკეტი. დარბაზი საუცხოვოთ იყო მორთული. ბანკეტს დაესწრენ აჭარისტანის სახკომსაბჭოს, დიპლომატიური კორპუსის, არმიის, წითელი ფლოტის და სანაპირო რაზმის წარმომადგენლები.

ბანკეტის შემდეგ დელეგაცია აკადემიურ თეატრში დაესწრო „ლურჯი ხალათის“ წარმოდგენას.

21 სექტემბერს, დილის 10 საათზე დელეგაცია გაემგზავრა მახუნცეთში ჰიდრო-ელექტრიული სადგურის დასათვალიერებლად.

დელეგაცია ბათომში დარჩება რამდენიმე დღეს.

მხარეთმცოდნეობის მეორე ყრილობა

ბათომი, 23 სექტემბერი. მხარეთმცოდნეობის მე-2-ე ყრილობა იხსნება ბათომში 25 სექტემბერს. 12 საათზე მოხდება ყრილობას მონაწილეების ამხანაგური შეხვედრა. დღის 3 საათზე მოხდება გამოფენის გახსნა, საღამოს 6 საათზე—ყრილობის საზეიმო გახსნა აკადემიურ თეატრში. სექციების მუშაობა დაიწყება 26 სექტემბერს. 29 სექტემბერს—ყრილობის პლენუმი, 30-ს—პლენარული სხდომა.

1-დან 4 ოქტომბრამდე მოწყობილი იქნება მთელი რიგი ექსკურსიებისა: ჰიდროსადგურზე, გონიაში სარფაში, ჩაქვაში, ბოტანიკურ ბაღში და სადიბაურში.

ყრილობაზე იმუშავებენ სექციები: საორგანიზაციო - მხარეთმცოდნეობის, სახალხო განათლების, ისტორიის, გეოგრაფიის, ეტნოგრაფიის, არქეოლოგიის, ბუნებისმეტყველების, ისტორიის; ქვე-სექციები—ბიოლოგიის, გეოლოგიის და მეტეოროლოგიის, სასოფლო-სამეურნეო, ეკონომიური სტატისტიკის, სამრეწველო, საამშენებლო, საკურორტო საქმის და ჯანმრთელობის დაცვის.

ყრილობა დაიხურება 5 ოქტომბერს.

„ავიაქიმი“

ბათომი, 26 სექტემბერი. საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების და ქიმიის მეგობართა საზოგადოების გაერთიანების შემდეგ, „ავიაქიმი“-ს წევრთა რიცხვი გაიზარდა: ქალაქში—8,700 კაცამდე, მაზრებში — 2,800-დე, წითელ არმიაში—2,500-დე.

დაარსდა 43 ბიბლიოთეკა და 3 საჩვენებელი კუთხე.

საქ. კ. პ. სამაზრო და საოლქო კომიტეტების სააგ.-საპროპაგანდო განყოფილებათა გამგეების თათბირი

მეხუთე სხდომა

კამათი ამხ. დ. რუხაძის მოხსენების გარშემო

ამხ. რუხაძის მოხსენების გარშემო საკამათოდ გამოსული ზოგიერთი ამხანაგები აღნიშნავდენ, რომ პოლიტგანათლების მთავარმა სამმართველომ ვერ გამოიჩინა საკმაო უნარი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში ჩაება სოფლის ინტელიგენცია და კულტურულად გათვითცნობიერებული გლეხობა, ამიტომ მუშაობის ნაყოფიც ნაკლები იყო.

მომხსენებელი, უარყოფს რა ოპონენტთაგან გამოთქმულ შეხედულებას პოლიტგანათლების სამმართველოს მუშაობაზე, მოკლე მიმოხილვას უკეთებს მას.

თუ მუშაობის რომელიმე დარგი,—ამბობს მომხსენებელი,—მოისუსტებდა, აქ ბრალი სავსებით ვერ დაედება სამმართველოს, რომელიც იძულებული იყო ემუშავა ძალიან მცირე შტატით, მცირე თანხით და სხვების დაუხმარებლად.

მუშაობის მეტი ნაყოფიერებისათვის, მომხსენებელი მოითხოვს, რომ პარტიულმა, საზოგადოებრივმა, სახელმწიფო დაწესებულებებმა და კომკავშირმა ისეთივე აქტიური მონაწილეობა მიიღონ პოლიტგანათლების სამმართველოს მიერ წარმოებულ მუშაობაში, როგორც იღებენ იგივე დაწესებულებები სხვა ნებაყოფლობით საზოგადოებათა საქმიანობაში.

პარტიის ამოცანები კომკავშირის კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის დარგში

(ამხ. კეკელიას მოხსენება)

მოხსენების დასაწყისში ამხ. კეკელია ახასიათებს კომკავშირის დღევანდელ მდგომარეობას. საქართველოს კომკავშირი გაიზარდა როგორც რიცხვობრივად, ისე პოლიტიკურ-კულტურულათ. მეშვიდე ყრილობის შემდეგ კომკავშირს შეემატა 15 ათასი ახალგაზრდა, რომელთა უმრავლესობა გამოსულია ულარიბეს სოციალური ფენებიდან, ან, როგორც ასეთი, წარმოადგენს დიდ რევოლიუციონურ ძალას, მაგრამ მოკლებულია ცოდნას და შესაფერ მომზადებას.

ამჟამად კომკავშირის მთავარი ამოცანა არის არა იმდენად რიცხვობრივი ზრდა, რამდენად ახალგაზრდობის პროლეტარული გათვითცნობიერება, მისი პოლიტიკურ-კულტურული აღზრდა. კომკავშირელება საჭიროების დროს მშვენივრათ ხმარობენ იარაღს კომუნისტური მოძრაობის მტერთა წინააღმდეგ. ახლა საჭიროა იგივე ახალგაზრდობა მშვიდობიანი აღმშენებლობის პერიოდში ისეთივე მოხერხებით ხმარობდეს წიგნს, ისეთივე გულმოდგინეობით იყენებდეს შეძენილ ცოდნას და მიღებულ გამოცდილებას.

კომკავშირს დიდი გავლენა აქვს უპარტიო ახალგაზრდობაზე, და რომ მან შესძლოს მთელი მუშური ახალგაზრდობის აღზრდა და მისი ხელმძღვანელობა, უპირველესად საჭიროა თვით შეიარაღდეს ცოდნით, კულტურით, ხელი მოჰკიდოს თავის აღზრდას, განვითარებას. პირველ ყოვლისა კომკავშირელთა შორის არ უნდა დარჩეს არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი. ამ მხრივ ყველაზე მეტი ყურადღება უნდა მიექცეთ ჩამორჩენილ კუთხეებს,—მაგ., სამხრეთ ოსეთს, სადაც კომკავშირის რიცხვობრივ ზრდას დიდათ ჩამორჩება აღმზრდელობითი მუშაობა.

შემდეგი ამოცანა უნდა იყვეს პოლიტუცოდინარობის სრული ლიკვიდაცია. კომკავშირელთა 50 პროცენტი პოლიტიკურად გაუთვითცნობიერებულია. დღემდე პოლიტსკოლების და პოლიტწრეების მუშაობა მკვიდრ ნიადაგზე ვერ არის დაყენებული, რადგან არ მოიპოვება სათანადო ლიტერატურა კომკავშირელთათვის, დღემდე არ არის სამეცადინო სახელმძღვანელო წიგნი. ლიტერატურის შეძენას და მის ახალგაზრდებს შორის გავრცელებას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება.

ეხება რა საკლუბო მუშაობას, მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია, რომ მას ხელმძღვანელობა გაუწიონ პარტიულმა ამხანაგებმა. აღნიშნავს რა ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის თანდათანობითი ზრდას, მომხსენებელი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ პედაგოგიურად თვით მოუმზადებელ კომკავშირს არ შეუძლია თავის ძალებით აწარმოს პიონერთა აღზრდა და მისი მოძრაობის ხელმძღვანელობა. მისი აზრით აქაც კომკავშირი საჭიროებს პარტიის დახმარებას.

შემდეგ მომხსენებელი ჩამოსთვლის რა კომკავშირის ყოფა-ცხოვრებიდან ზოგიერთ შემთხვევებს, ზოგიერთ ახალგაზრდებისაგან ყოფა-ცხოვრების საკითხების ყალბ გაგებას, უარჰყოფს დღევანდელ პირობებში ყოფა-ცხოვრების ახალი ნორმების შემუშავებას და მოითხოვს, რომ ახალგაზრდების ზნეობრივი დონის ასამაღლებლად გაძლიერდეს აღმზრდელობითი და კულტურულ-მეცნიერული მუშაობა, რაც თავისთავად მოსპობს არანორმალურ მოვლენებს ახალგაზრდობის ცხოვრებაში.

მომხსენებელი ვრცლად ეხება აგრეთვე სოფლის ახალგაზრდობაში წარმოებულ მუშაობას. კომკავშირმა ახალგაზრდა გლეხობას უნდა გაუმართლოს იმედი იმით, რომ ყოველ მათგანს მისცეს არა მარტო პოლიტიკური მომზადება, არამედ გახადოს იგი კარგი მეურნეც. კომკავშირმა უნდა გამოიყენოს ყოველგვარი შესაძლებლობა, რომ ახალგაზრდა გლეხობას მისცეს აგრონომიული ცოდნა.

დასასრულ მომხსენებელი შეჩერდა კომკავშირის პარტიულ კადრზე, რომლის კვალიფიკაცია-მომზადება დაბლა დგას; საჭიროა ახალი აქტივისტების შექმნა და აგრეთვე ამჟამად მომუშავე პარტიულ ამხანაგების კვალიფიკაციის აწევას მიექცეს სერიოზული ყურადღება.

მეექვსე სხდომა

კამათი ამხ. ა. კეკელიას მოხსენების გარშემო

კამათში მონაწილეობას ღებულობდენ შემდეგი ამხანაგები: მენაბდე, ქაჯაია, თოფურია, სააკიანი, კარაპეტოვი, იმედაძე, ძიგრაშვილი და გორდელაძე.

თავიანთ სიტყვებში ამხანაგები აღნიშნავდენ კომკავშირში პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების, კომკავშირის აქტივის მტკიცე კადრის შექმნის და კომკავშირელების მიერ ახალი ყოფა-ცხოვრების პრინციპების სათანადოთ შეთვისება-შესისხლხორცების საჭიროებას; ამხანაგები ხაზს უსვამდენ აგრეთვე მაზრებში და ოლქებში კომკავშირის ორგანიზაციებისათვის ლიტერატურის ფართედ მიწოდების აუცილებლობას, რასაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს კომკავშირელთა ლენინურ აღზრდის საქმეში; ზოგიერთი ამხანაგები შეჩერდენ იმაზე, რომ ფიზკულტურის მუშაობა ადგილებზე ვერ სდგას თავისი დანიშნულების სიმაღლეზე, რომ ფიზკულტურის ორგანიზაციებში სოფლის ახალგაზრდობა არ არის მასიურად ჩაბმული; შეეხენ საკლუბო მუშაობის საკითხებსაც, რის შემდეგ გამოირკვა, რომ ბევრ ალაგას მათი მუშაობა მოისუსტებს; ამხანაგები აღნიშნავდენ იმასაც, რომ კომკავშირის ზრდა საგრძნობლად სჭარბობს აქტივის ზრდას, რასაც საჭიროა ამთავითვე ღრმად ჩაუფიქრდეთ და მივიღოთ ზომები იმისათვის, რომ კომკავშირში ჩამოვაყალიბოთ მტკიცე აქტივი, რომელსაც შეეძლება კომკავშირული მას-ს მოთხოვნილებების დაკმაყოფილება; დასასრულ ამხანაგები კამათში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდენ პიონერთა განტვირთვის საკითხს. მათ რიგებში წარმოებულ მეცადინეობის მეთოდების გაუმჯობესებას და ბავშვთა კოლექტივებზე პარტიის და კომკავშირის საერთო ხელმძღვანელობის გაძლიერებას.

ამხ. კეკელია თავის საბოლოო სიტყვაში უპასუხებს ყველა ამხანაგებს და უმთავრესად ჩერდება ახალი ყოფა-ცხოვრების საკითხებზე. უნდა აღვნიშნოთ,—ამბობს მომხსენებელი,—რომ ახალი ყოფა-ცხოვრება მუშავდება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პროცესში. თვით ამხ. ლენინიც რ. ა. ლ. კ. კავშირის მესამე ყრილობაზე ხაზს უსვამდა ამ გარემოებას. ამით აიხსნება ის, რომ დღეს ახალი ყოფა-ცხოვრების პროპაგანდის დაკვრითი წესით ჩატარება მიუღებელი და მიზანშეუწონელიცაა. დღევანდელ გარდამავალ პერიოდში ჩვენ გვმართებს დაკვრითი წესით გავატაროთ არა ახალი ყოფა-ცხოვრების ნორმები, არამედ პარტიული და, განსაკუთრებით, კომკავშირული მასის აღმზრდელობითი საქმე. სწორედ აქეთკენ უნდა წარიმართოს ჩვენი მუშაობა.

შემდეგ მომხსენებელი ეხება ანტირელიგიური პროპაგანდის საკითხებს; აღნიშნავს ამ მხრივ დაშვებულ შეცდომებს და ამასთანავე ხაზს უსვამს ამის შესახებ პარტიის უმაღლეს ორგანოების დადგენილებებს, რომლებიც უნდა გატარებულ იქნან ცხოვრებაში.

ზოგიერთი ამხანაგები,—განაგრძობს მომხსენებელი,—ამბობდენ, რომ ადგილებზე მოისუსტებს პოლიტკითხვის ჯგუფების მუშაობა. აქედან მათ გამოჰყავდათ დასკვნა ამ ჯგუფების ლიკვიდაციის შესახებ. ასეთი მავნე ტენდენცია ძირფესვიანად უნდა აღმოფხვრათ. ეს მით უმეტეს, რომ პოლიტკითხვის ჯგუფები პოლიტგანათლების ერთიან სისტემის ერთ-ერთ უმთავრეს ორგანიზაციულ ფორმას შეადგენენ.

რაც შეეხება კლუბებს, განმეორებით უნდა აღვნიშნოთ, რომ იქ, სადაც ისინი არაფერს აკეთებენ, უნდა დავხუროთ.

გარდა ამისა დღეს ფრიად სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ პარტხელმძღვანელობას კომკავშირის მიმართ. მართალია, დღემდე არსებობდა საერთო ხელმძღვანელობა, მაგრამ ახლა საჭიროა, რომ პარტიამ კონკრეტული ხელმძღვანელობა გაუწიოს კომკავშირს.

ამხ. კეკელიას საბოლოო სიტყვის შემდეგ თათბირი გადადის დღის წესრიგის მორიგ საკითხზე.

სოფლად ლიტერატურის გავრცელების შესახებ

([illegible] მოხსენება)

დღეს სოფლად ლიტერატურის გავრცელების საქმეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. სხვათა შორის ამას ხაზი გაუსვა პარტიის მე-13 ყრილობამაც.

საჭიროა თვალი გადავავლოთ ჩვენს სინამდვილეს, დავრწმუნდეთ, რომ ყოველი ბეჭდვითი გამოცემა უდიდეს ინტერესს იწვევს მოსახლეობის ფართო მასებში.

მოსახლეობის წერა-კითხვის უცოდინარობასთან სისტემატიურმა ბრძოლამ, მშრომელთა მასების კულტურული და პოლიტიკური თვითშეგნების გაღრმავებამ—ჩვენი პარტიის და ხელისუფლების წინაშე წამოაყენა ქალაქისა და სოფლის მასიური ლიტერატურით უზრუნველყოფის ამოცანა. ამ ამოცანის მიზანშეწონილი და წარმატებითი გადაჭრა—ჩვენი უდიდესი პრაქტიკული მიღწევაა.

მაგრამ როგორია საქართველოში მდგომარეობა ამ მხრივ?

უნდა შევნიშნოთ, რომ პარტიამ ბეჭდვითი საქმეში უდიდესი სამუშაო შეასრულა. მშრომელთა ქვედაფენებისათვის მასიური ხასიათის სპეციალური ლიტერატურა, პერიოდული და არაპერიოდული ბეჭდვითი გამოცემები, რომელნიც ხორციელდებიან პარტიის და ხელისუფლების უშუალო ხელმძღვანელობით, მეტად ხელსაყრელ ნიადაგს პოულობენ დაუბრკოლებელ ზრდისა და განვითარებისათვის. პერიოდული პრესის ყოველდღიური ტირაჟი 75 ათასს აღწევს. უკვე გამოცემულ არაპერიოდულ გამოცემათა ტირაჟი კი 3 მილიონს. ასეთი მიღწევა არ ახსოვს საქართველოს მუშათა ბეჭდვითი სიტყვის ისტორიას. მხოლოდ მუშათა და გლეხთა ხელისუფლებამ და კომუნისტურმა პარტიამ შესძლეს მუშების და გლეხების „ლიტერატურული წყურვილის“ მაქსიმალური დაკმაყოფილება.

მაგრამ, სამწუხაროთ, ამასთანავე ერთად არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ლიტერატურის, სახელდობრ, ჟურნალების, გაზეთების და სხვ. გავრცელების საქმე არ სდგას მასიური ბეჭდვითი გამომცემლობის დონეზე. ბეჭდვითი ნაწარმოებთა გამოცემა და მათი გავრცელება არ ვითარდება ერთნაირად და პარალელურად. ერთი მხრივ სწარმოებს ბეჭდვითი ნაწარმოებთა გამოცემა უდიდეს რაოდენობით, თითქმის იმდენი, რამდენიც აუცილებელია არსებულ პირობებში წიგნის ბაზრის უზრუნველსაყოფად, მაგრამ მეორე მხრივ მისი გავრცელების საქმე არ სდგას სათანადო სიმაღლეზე. ისიც კი, რაც სპეციალურად მასისათვის არის გამოცემული, ვერ სწვდება მასას.

სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ჩვენი დევიზი „წიგნი მასებს“ დღემდე სავსებით განუხორციელებელია. ამას ყოველ მიზეზს გარეშე უნდა მივაქციოთ სერიოზული ყურადღება. ჩვენ უნდა გავატაროთ სათანადო ღონისძიებანი მშრომელი მასის მასიური ლიტერატურით უზრუნველსაყოფად.

მასიური ლიტერატურის ფართედ გავრცელებისათვის კი, სხვათა შორის, საჭიროა ქოხ-სამკითხველოების, სახალხო შრომის სკოლების, ე. ი. მასწავლებლობის, კოოპერაციის ორგანოების, გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტების, მოხალისე ორგანიზაციების, საფოსტო განყოფილებების და სოფლის გლეხკომთა ორგანიზაციების გამოყენება.

რაც შეეხება პარტიულ კორესპონდენტებს სოფლად, არც ისინი უნდა დარჩენ უმოქმედოთ და ლიტერატურის გავრცელების საქმის გარეშე.

ამ შემთხვევაში ადგილობრივ პარტკომების მოვალეობაა თვალყური ადევნონ და კონტროლი გაუწიონ ლიტერატურის გავრცელების საქმეს და აგრეთვე ლიტერატურის გამავრცელებელ ორგანიზაციების საქმიანობას. აი ამით ჩვენ უზრუნველვყოფთ პარტიულ ხელმძღვანელობას ლიტერატურის გავრცელების საქმეში. ამ მიზნით აუცილებელია, რომ სამაზრო აგიტგანყოფილებებმა გაძლიერებული ყურადღება მიაქციონ ამას. გარდა ამისა, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რომ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ საგამომცემლო ორგანიზაციის სტრუქტურას.

აქამდე არსებული ბეჭდვითი ნაწარმოებთა გავრცელების ანარქიული სისტემა, რის გამო თვითეულ კერძო საგამომცემლო ორგანიზაციას საკუთარ გამოცემათა დამოუკიდებელი გავრცელების საშუალება ეძლევა, რაც იწვევს აგენტურას რესპუბლიკის სხვადასხვა პუნქტებში,—აუცილებლათ ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს. უნდა დაარსდეს „ბეჭდვითი სიტყვის ცენტრალური ექსპედიცია“, ერთ მთლიან ცენტრში უნდა გავაერთიანოთ ამჟამად სხვადასხვა გამომცემლობასთან არსებული ცალცალკე ექსპედიციები. „ბეჭდვითი სიტყვის ცენტრალური ექსპედიციის“ ადგილობრივი განყოფილებები უნდა დაემორჩილონ პარტიის და ხელისუფლების სამაზრო ორგანოებს. ამ ასეთი ღონისძიებების გატარებით, ჩვენ დარწმუნებული ვართ, აღმოვფხვრით ყველა იმ დაბრკოლებებს რომლებიც წინ ეღობებიან ბეჭდვითი ნაწარმოებთა მასიურად გავრცელების საქმეს.

ამეგრელოს „ავტონომისტების" წინააღმდეგ

ფილისში მცხოვრებ სამეგრელოს მკვიდრთა კრება

უშინ საღამოს რუსთაველის თე- ში შესდგა ტფილისში მცხოვ- მეგრელთა კრება.

ურ კიდევ 6 საათიდან თეატრს რებელი ხალხი მიაწყდა. 7 სა- ათვის რუსთაველის პროსპექ- ფრთო ქვაფენილი უკვე ხალ- იყო გაჭედილი.

სვლის დროს თეატრის კარებ- პირდაპირ „ხელჩართული ბრ- ა" იყო გამართული, მიუხედა- იმისა, რომ შესვლა ბილეთებით ა მოხდარიყო. ასეთ ორომტ- ში მრავალი ბილეთიანი მოქა- დარჩა თეატრის გარეთ.

თელი აუდიტორია სამეგრელოს ტონომიის" წინააღმდეგ იყო გან- ბილი. აქა-იქ დარბაზის ზოგი- კუთხეებში მაინც იყვნენ გაბნე- ბუკონია-ახალაიას ორდენის ები, რომლებიც სცდილობდენ ზიციის შექმნას, მაგრამ მათი ზიცია გამოიხატება მხოლოდ მაზო წამოძახილში და პრე- უმის სახელზე უსუსური შეკი- ების გზავნაში.

ომა გაიხსნა საღამოს 8 საათ-

ორგი ჟორდანიას წინადადებით ზიდიუმში არჩეული იქნენ შემ- პირები: თავმჯდომარე—თედო ქია და წევრებათ—აკაკი ფა- , დიომიდე თოფურიძე, ბართ- მე პატარაია და ანდრო თოდუა. ეზიდიუმის საპატიო წევრა- ამად არჩეული იქნა ამხ. ალ. ეკორი.

ირველი სიტყვა მოხსენებისათვის ა თედო სახოკიას.

ედო სახოკიას მოხსენება.

— სამეგრელოს „ავტონომიის" ხი,—ამბობს მომხსენებელი,— უენებულია ერთ ჯგუფ ავანტიუ- ების მიერ. სამეგრელო სა- თველოს განუყოფელი ნაწილი ყოველთვის. მეგრული ენა არ ცალკე ენა, ის მხოლოდ ქარ- ი ენის ერთ-ერთი კილოკავია, ელსაც ხმარობენ შინაურ ცხოვ- ში სამეგრელოს მკვიდრნი.

ეგრული ენის საკითხი არასოდეს წამოჭრილა საქართველოში. ის ჩვა მხოლოდ რუსების შემო- ის შემდეგ, როდესაც გაუქმდა რთველოს სხვადასხვა სამთავ- ები. რუსეთის თვითმპყრობელურ. მთავრობამ იგრძნო საქართველოს ოიანების სიშიშროება და ის ვენურად სცდილობდა გამოე- საქართველოს დაქუცმაცება; ეთ ამ მიზნით იყო წამოყენე- მეგრული ენის საკითხი.

-იან წლებში რუსეთის მთავ- ამ იერიში მიიტანა სამეგრე- სკოლებზე, საიდანაც განდევ- იქნა ქართული ენა. ეს მდგო- ობა გრძელდებოდა 1890 წლამ- ამ ხანებში კი სცენაზე გამო- ნ სახალხო განათლების ამიერ- კასიის ოლქის უფროსი იანოვსკი მისი თანაშემწე ლევიცკი.

უკანასკნელმა შემოიღო სწავ- ის ეგრეთ წოდებული მუნჯური ოდი, რომლის გატარებასაც ლობდა საქართველოს სკოლებ-

ლევიცკიმ ხონის სემინარიის მას- ლებელს პეტროვს და ამ სემინა- ს მაშინდელ მოწაფეს, შემდეგ ცნობილ აფერისტ აშორდიას ვალა მეგრულ ანბანის შედგენა ული ასოებით.

ამ ხანებში ქართული ენა სავსე- განდევნილი იყო განათლების ნისტროს სკოლებიდან. ეს ენა რჩენებული იყო მხოლოდ სამ- ლო სკოლებში, რადგან იქ ის მსახურება ქართულ ენაზე ბოდა.

მ მიზნით, რომ აქაც მოსპობილი ილიყო ქართული ენა, ლევიცკიმ აშორდიას დაავალა სამღვთო-სჯულის მეგრულად თარგმნა. ამას წინ აღუდგა მთელი სამეგრელო, რომელმაც ბოიკოტი გამოუცხადა აშორდიას ნაცოდვილარს.

ამ დროს საქართველოს სასულიერო უწყების სკოლებს სათავეში ჩაუდგა მღვდლის ანაფორაში გახვეული კაციჭამია დეკანოზი ივანე ვოსტორგოვი. ის ამტკიცებდა, რომ მეგრელებს არავითარი ნათესაობა არა აქვთ ქართველებთან, მეგრელები ცალკე ერს შეადგენენ და სხვა. მან პრესაშიაც კი სცადა ასეთი აზრებით გამოსვლა. მას გამოეკამათა პროფესორი ნიკო მარი, რომელმაც ნაცარტუტად აქცია და მიწასთან გაასწორა ვოსტორგოვის საბუთები.

ვოსტორგოვის შემდეგ ქართული ენის დევნას ხელი მიჰყო სოხუმის ეპისკოპოზმა არსენმა, რომლის ხსოვნას წყევლა-კრულვით იხსენიებს ყოველი მეგრელი. მან ბრძანება გასცა, რომ სამურზაყანოში წირვა-ლოცვა შემოღებული ყოფილიყო რუსულ ენაზე.

რუსეთის თვითმპყრობელობის ეს რუსიფიკატორული ცდები მოსპო დიდმა რევოლიუციამ, რომელმაც თავისუფლება მოუტანა ქართველ ერს.

მაგრამ 1918 წელს ქ. ფოთში ვოსტორგოვ-ლევიცკების გამოუჩნდენ მემკვიდრეები მასწავლებელ სტეფანე გაგუას სახით. ზუგდიდელი ავანტიურისტების ჩხირკედელაობა სწორედ ამ დროიდან იწყება.

ჩემი მოკლე მოხსენება,—ამბობს თედო სახოკია,—მე მინდა გავათავო შემდეგი მეგრული ანდაზით:

— წიარი კურდღელს გეთხოზუ, მარა კურდღელი მუს გეთხოზუ. (მწევარი კურდღელს მისდევს, კურდღელი რაღას მისდევს!).

თუ ვის მისდევდა ლევიცკი და ვოსტორგოვი—ჩვენ ვიცით, მაგრამ თქვენ ვის მისდევთ, ბ-ნო ჩხოუშელიბო? (მქუხარე ტაში).

დიომიდე თოფურიძის სიტყვა

დ. თოფურიძე თავის სიტყვაში ამტკიცებს, რომ მეგრული ენა არ არის ცალკე ენა, რომ ის მხოლოდ ქართული ენის ერთ-ერთი კილოკავია, რისთვისაც მას მოჰყავს ვრცელი ამონაწერი პროფ. ნიკო მარის თხზულებიდან, სადაც მარი მდიდარი მასალებით ამტკიცებს საქართველოს და ქართული ენის მთლიანობას.

შემდეგ ორატორი ეხება ბუკონია-ახალაიას ჯგუფის გამოსვლის სოციალურ-ეკონომიურ მნიშვნელობას და ამტკიცებს, რომ ის საზარალოა სამეგრელოს მშრომელი ხალხისათვის.

— საქართველო ჩაება სოციალისტური აღმშენებლობის ფერხულში, საქართველოში სოციალისტური მთავრობა, ეს უკანასკნელი კი ვერ მოითმენს, რომ სამეგრელოში ადგილი ჰქონდეს იქაური მშრომელი ხალხისათვის მავნე უპასუხისმგებლო გამოსვლებს.

გაუმარჯოს, სოციალისტური მშენებლობის გზაზე შემდგარ მთლიან საქართველოს, გაუმარჯოს მრავალჯერ განაწამებ, მაგრამ მაინც წინ მიმავალ საქართველოს!—თავებს თავის სიტყვას ორატორი.

შემდეგ ილაპარაკეს ანდრო თოდუამ, ბართლომე პატარაიამ და აკაკი ფალავამ, რომლებმაც აღნიშნეს „ავტონომისტების" გამოსვლის მავნებლობა და მოუწოდეს კრებას სასტიკათ დაგმოს ბუკონია-ბესელიას და ძმათა მათთა მოქმედება.

ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ საქართველოს მთავრობისაგან,—ამბობს ა. ფალავა, რომ მან სასტიკი ზომები მიიღოს საქართველოს, კერძოთ სამეგრელოს მშრომელი ხალხის მოღალატეთა წინააღმდეგ.

აკაკი ფალავას ამ განცხადებას დარბაზი მქუხარე ტაშით შეხვდა.

დასასრულ სიტყვით მიმართა კრებას კონსტანტინე გამსახურდიამ.

— მოქალაქენო, ჩვენ აქ შევიკრიბეთ იმისათვის, რომ ერთხელ კიდევ შევარცხვინოთ ის ხალხი, რომლებსაც უნდა სამეგრელოს ჩამოჭრა საქართველოს მთლიანი სხეულიდან. ჩვენ მხოლოდ ზიზღით უნდა გაუმასპინძლდეთ მათ, რადგან ხარბაზნების სროლა ჭიანჭველების წინააღმდეგ არა ღირს.

რას გვეუბნებიან ჩვენ სამეგრელოს „ავტონომისტები": დაივიწყეთ რუსთაველის, ჩახრუხაძის, დავით გურამიშვილის ენა და იკითხეთ ბუკონიას წიგნებიო.

ჩვენ ერთხელ და სამუდამოთ უნდა ვსთქვათ ჩვენი გადამწყვეტი სიტყვა ამ მახინჯი მოვლენის წინააღმდეგ და მოვსთხოვოთ მთავრობას მისი ძირიანათ აღმოფხვრა.

კონ. გამსახურდიას სიტყვის შემდეგ მიღებული იქნა შემდეგი

რეზოლიუცია

„1925 წ. სექტემბრის 23-ს თბილისში მცხოვრებ სამეგრელოს მკვიდრთა საზოგადო კრებამ იქონია მსჯელობა ერთი ჯგუფის გამოსვლის შესახებ, რომელმაც განიზრახა დღევანდელ პირობებში ბნელი საქმის განხორციელება, რაც თავის დროზე ვერ შესძლო რომანოვების რუსეთმა. კრება საქვეყნოდ აცხადებს, რომ ეს არის გაგრძელება იმპერიალისტური რუსეთის გამთიშავი პოლიტიკისა, რაც მიმართული იყო ქართული ეროვნული ოჯახის დაქსაქსვისა და საქართველოს, როგორც მთლიანი ეროვნული ერთეულის, მოსპობისაკენ.

ამ ბნელ პოლიტიკანებს არავითარი—არც ზნეობრივი, არც იურიდიული, არც პოლიტიკური—უფლება არა აქვთ ილაპარაკონ სამეგრელოს სახელით.

სამეგრელო, ათასეული წლების ისტორიული წარსულით, ენით, კულტურით და სისხლით დაკავშირებული საქართველოს დანარჩენ ნაწილებთან, წარმოადგენს მთლიანი საქართველოს განუყრელ ნაწილს.

სამეგრელოში წარსულშიაც იყო ასეთივე ცდა რუსიფიკაციის მოციქულთა—იანოვსკი-ვოსტორგოვი-ლევიცკისა და მათი მოსყიდული ლაქიებისა, მაგრამ ხალხმა თავზე გადაახია თვითმპყრობელობის აგენტებს იმპერატორისაგან ბოძებული მეგრული სიტყვებით და რუსული ასოებით დაბეჭდილი მანიფესტი, ზიზღით უკუაგდო რუსული ასოებით შედგენილი წიგნები, ბოიკოტი გამოუცხადა რუსულ წირვა-ლოცვას და ალაგმა არამკითხე ქირისუფლები.

დღესაც, როდესაც გაერთიანებული ქართველი ერი პროგრესისა და კულტურული აღორძინებისაკენ მიისწრაფვის, ეს არამკითხე ქირისუფალნი სცდილობენ ერთსულოვან მოძრაობიდან გამოთიშონ სამეგრელოს მშრომელი მასა. ჩვენ, საქართველოს დედაქალაქში მცხოვრები სამეგრელოს მკვიდრნი—მასწავლებელნი, ინჟინრები, მწერლები, საბჭოთა მოსამსახურენი, მოსწავლე ახალგაზრდობა, მუშები, ხელოსნები ვგმობთ წითელ ქურქში გახვეულ შავრაზმელების ცდას საქართველოს მთლიანი სხეულის დაქუცმაცებისას.

როგორც მრავალი საუკუნეების მანძილზე, ისე მერმისშიაც სამეგრელოს მშრომელი მასა მთელ საქართველოსთან ერთად ხელიხელ ჩაკიდებული ივლის და ვერავითარი ბნელი ინტრიგები ვერ ჩაშლიან ქართველი ერის ათასეული წლობით განმტკიცებულ კულტურულ-ეკონომიურ-პოლიტიკურ მთლიანობას.

სამეგრელოს მკვიდრთა საერთო კრება კატეგორიულად მოითხოვს საქართველოს მთავრობისაგან მიღებული იქნეს სასტიკი ზომები ასეთ უმზგავსო შავრაზმული მოვლენის ძირიან-ფესვიანად აღმოსაფხვრელად".

ჩვენ ვგმობთ ასეთ პოლიტიკას

(წერილი სენაკიდან)

22 სექტემბერს ქ. ახალ-სენაკის 9 წლედის დარბაზში თავი მოიყარა სენაკის რაიონის მასწავლებელთა და ინტელიგენციის დიდმა უმრავლესობამ.

გასარჩევი იყო საკითხი იმ მოთხოვნილების შესახებ, რომელიც, თითქოს სამეგრელოს ხალხის სახელით, წარუდგენია მეგრელთა ერთ მუჭა ჯგუფს საკავშირო ხელისუფლებისათვის სამეგრელოსთვის ავტონომიის მინიჭების შესახებ.

ყველას აინტერესებდა ეს საკითხი. ყველა გულის ფანცქალით მოელოდა სხდომის გახსნას, რომ გაეგო, თუ ვინ გაბედა სამეგრელოს მშრომელ ხალხში არევ-დარევის შეტანა და ისეთი მოთხოვნის წამოყენება, რაც ფიქრადაც არ მოუვა ჩვენს ხალხს.

კრების გახსნის შემდეგ, რომელსაც დაესწრო 60 ამხანაგი, საკითხის გარშემო ვრცელი დასაბუთებული მოხსენება მეგრულ ავტონომისტების წინააღმდეგ გააკეთა ამხ. ბეს. კიზირიამ.

მან დაამტკიცა საბუთებით ხელში, რომ სამეგრელოს ხალხი არც წარმოადგენდა და არც წარმოადგენს დამოუკიდებელ ერს, რომ მეგრელი ხალხი ყოველთვის და ყოველ-დროს მთლიან საქართველოს ნაწილს შეადგენდა, რომ მეგრული ენა—ეს ქართული ენის კილოკავია. შემდეგ ის შეეხო იმას, არის თუ არა მისაღები პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიურ თვალსაზრისით სამეგრელოს ავტონომია.

მან დაასაბუთა, რომ როგორც კულტურულად, ისე ეკონომიურად და პოლიტიკურად სამეგრელოს ავტონომიურად ჩამოშორება გამოიწვევდა სამეგრელოს დაქვეითებას, უკან დაწევას და მთლიანი საქართველოს დაშლას, რაც ყოვლად მიუღებელია და დასაგმობი.

აზრთა გაცვლა-გამოცვლაში, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ათამდე ამხანაგმა, ყველა ამტკიცებდა, რომ სამეგრელოს მშრომელ ხალხს არასდროს არ მოუთხოვნია საქართველოდან ჩამოშორება, რომ სამეგრელოს გლეხობა მუდამ ხელი-ხელ ჩაკიდებული მიდიოდა მთელ ქართველ ერთან, რომ ავტონომიის მოცემა სამეგრელოს რამოდენიმე ათეული წლით უკან დასწევდა, და ყველა ერთხმად გმობდა იმ პირთა უტაქტო გამოსვლას, რომელთაც პირველად მოითხოვეს სამეგრელოს ავტონომია. ბოლოს კრებამ ერთხმად გამოიტანა რეზოლიუცია, სადაც დაგმობილია სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნის პოლიტიკა და ნათქვამია რომ ამას არ მოითხოვს სამეგრელოს მშრომელი ხალხი და რომ სამეგრელო სრულ თავისუფლად გრძნობს თავს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში. რაიმე ჩაგვრაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

რეზოლიუცია მიღებულ იქნა ერთხმად.

ბ. უჩანეიშვილი.

„კომუნისტი"
მიიღება ხელისმოწერა
ოქტომბრისათვის
კანტორა.—რუსთ. პრ. № 24. მეორე სართული.

ამა წლის 25 სექტემბერს მოწვეულია

აქართველოს კომპარტიის ოლქკომებისა და მაზრკომების საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეების თათბირი

დღის წესრიგი

1. მოხსენებები ადგილებიდან.
2. საორგანიზაციო განყოფილებათა მუშაობის გეგმის პროექტი.
3. დებულებები საორგანიზაციო განყოფილებებზე.
4. დებულებები თემკომებზე და თემკომების სისტემაზე გადასვლის ოექტი.
5. პარტიაში წევრთა მიღების შესახებ.
6. პარტაქტივის ცალკე კატეგორიათა უხაზღვრო დატვირთვის ალ- ფხვრის შესახებ.
7. სახელმწიფო და საზოგადო სამეურნეო საწარმოებზე მუშებისა და ლების წამოყენების შესახებ.
8. საინფორმაციო სტატისტიკო ქვე-განყოფილებათა დაყენების ესახებ.
9. საარიცხვო განყოფილების დაყენების შესახებ.

წინადადება ეძლევა საორგანიზაციო განყოფილებათა ყველა გამგეების ფილებიდან მოხსენებისა და აგრეთვე დღის წესრიგში დასმულ ლა კითხვებისათვის მოამზადონ მასალები და ოქმის ოთხისთვის იყვნენ ეში.

ცეკას საორგანიზაციო განყ. გამგის მაგ. მარიმანოვი.

ა.-კავკასიაში საქონლის შემოტანის გეგმა

ა. | კ. შინავაჭრობის კომისარიატმა შეიმუშავა 1295 | 26 წლის, ამ. | კავკასიაში საქონლის შემოტანის გეგმა. შემოტანილი იქნება: მარილი, ასანთი, რეზინის ნაწარმოები, შუშეულობა და ქაღალდი.

მარილი

ვინაიდან მოსახლეობის მიერ მარილის მოხმარება ძალზე გაიზარდა და ამასთანავე განვითარდა თევზის მრეწველობა, მარილის მოთხოვნილება 1925 | 26 წლისათვის გამოანგარიშებულია 28 გირვანქით სულზე, აქედან 22 გირვანქა საერთო მოხმარებისათვის და 6 გირვანქა საწარმოო საჭიროებისათვის. მთელი წლიური მოთხოვნილება უდრის 3.700.000 ფუთს.

ნახიჩევანიდან შემოტანილი იქნება 1.800.000 ფუთი, კულპიდან—800.000 ფუთი, ყირიმიდან—600.000 ფუთი, ბაქოდან—400.000 ფუთი და 100.000 ფუთი სლოვიანური მარილი.

ასანთი

1925 | 26 წელში შემოტანილი იქნება 165 ვაგონი ასანთი. ეს რაოდენობა ცალკე რესპუბლიკებზე ნაწილდება შემდეგნაირათ: საქართველო—70 ვაგონი, აზერბეიჯანი—65 ვაგ. და სომხეთი—25.

რეზინის ნაწარმოები

რეზინის ნაწარმოებიდან გეგმაში აღნიშნულია მხოლოდ კალოშები, რომელიც 1924 | 25 წლის საქართველოში შემოუტანიათ 212.000 წყვილი, სომხეთში—6000 წყვილი და აზერბეიჯანში—250.000 წყვილი. მაგრამ გ. | წელს ცუდი ამინდების გამო ეს რაოდენობა ბაზრისათვის საკმარისი არ ყოფილა.

რათა წელსაც არ განმეორდეს ასეთი ამბავი—1925 | 26 წლისათვის განზრახულია აღნიშნული საქონელი მეტის რაოდენობით იქნეს შემოტანილი. სულ შემოტანილი იქნება 600.000 წყვილი, აქედან: საქართველოსათვის—250.000, აზერბეიჯანისათვის—320.000 და სომხეთისათვის—30.000 წყვილი.

ნაწილი კალოშებისა აზერბეიჯანიდან გაიგზავნება სპარსეთში. რეზინის დანარჩენი ნაწილები შემოიტანება მოთხოვნილებისამებრ.

შუშეულობა

1925-26 წ. განზრახულია 700 რონოა შუშეულის შემოტანა, რომლიდანაც 600 ვაგონი უნდა შემოიტანოს „პროდსილიკატ"-მა და დანარჩენი 100 ვაგონი სხვა ორგანიზაციებმა და კერძო პირებმა.

ამ რაოდენობიდან საქართველოზე მოდის 230 ვაგონი, აზერბეიჯანზე—300 ვაგონი და სომხეთზე—70 ვაგონი.

განათლების მუშაკნო, პირით სოფლისაკენ!

გლეხთა საურთიერთო დახმარების საზოგადოებებს, მათ სათემო და სამაზრო კომიტეტებს და განათლების მუშაკებს

ცირკულიარი

ამხ. მასწავლებლებო და გლეხთა განათლების ყველა მუშაკნო, განათლების სახალხო კომისარიატი მიაქცევს თქვენს ყურადღებას გლეხთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოებას, რომელსაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სოფლის განვითარებისათვის. ეს მნიშვნელობა განისაზღვრება არა მარტო იმით, რომ საზოგადოებები ნივთიერად ეხმარებიან სკოლებს, სამკითხველოებს და სხვა კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებს, სოფლად შეძლებისადაგვარად ეხმარებიან შეშის მოტანით, ღარიბი მოწაფეებისათვის სასწავლო ნივთების შეძენით, სკოლების შეკეთებით, მასწავლებლებისათვის ჯამაგირების მომატებით და და სხვა, არამედ იმით, რომ თავისი მუშაობით გლეხკაცობაში აწვითარებენ თვითმოქმედებას და ამაღლებენ მას კულტურულად.

ამხ. განათლების მუშაკნო, როგორც ჩვენში—საქართველოში, აგრეთვე რუსეთში მუშაობის სინამდვილემ აშკარად გვაჩვენა, რომ სადაც მასწავლებლები და სხვა განათლების მუშაკნი აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ გლეხთა ურთიერ დახმარებაში, იქ საქმე კარგად და სწორად იყო დაყენებული. და ჩვენ ხომ 9.000-მდე სოფლის მასწავლებელი გვყავს, რომელთაც შეუძლიათ გლეხთა ურთიერთ დახმარების საქმეში შეიტანონ ახალი სული და ძალა.

თუ საჭირო იქნება მასალები და ცნობები ამ საკითხების შესახებ, მიმართეთ სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატს.

საქართველოს გლეხკომებო, სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა არა ერთხელ მიაქცია თქვენი ყურადღება თქვენს ორგანიზაციებში სოფლის მასწავლებლების მუშაობის ნაყოფიერებას და არა ერთხელ მოგიწოდათ გლეხთა ურთიერთ დახმარების საქმეში მათ ჩასაბმელათ, მაგრამ აქამდის სოფლის მასწავლებლების უდიდესი პროცენტი განზე უდგას ამ თქვენს საჭირო და საზოგადო საქმეს.

გლეხკომებში კულტურული ძალების მონაწილეობა, რომლებიც ახლო დგანან სოფლის ცხოვრებასთან და მის სინამდვილესთან, შესამჩნევად გააძლიერებენ და გაამაგრებენ გლეხკომების მუშაობას, განავითარებენ გლეხთა საზოგადოებრივ თვითმოქმედებას და თვითუზრუნველყოფას. ამისათვის ყველა სოფლის გლეხთა საზოგადოებებმა და მათმა სათემო და სამაზრო გლეხკომებმა უსათუოდ უნდა მიიწვიონ თავის ორგანიზაციებში სოფლის მასწავლებლები და სხვა განათლების მუშაკნი.

განათლების სახალხო კომისარი
დ. კანდელაკი.
სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარი კ. ხომერიკი.

შრომის ხელფასის გადიდება

(ა.-კ. სატარიფო-ეკონომიური თათბირის დასკვნები)

მიმდინარე წლის განმავლობაში შემცირებულია ზედნადები ხარჯები, გადიდებულია შრომის ნაყოფიერება.—ხდება სატარიფო ზანაკვეთების გადასინჯვა მათი გადიდების მიზნით.—ამ მოკლე ხანში მოსალოდნელია ხელფასის გადიდება ა.-კავკასიის მუშა-მოსამსახურეებისათვის.

დასრულებულ საბიუჯეტო წლის განმავლობაში საგრძნობი შეიქნა არა მარტო მრეწველობის ზრდა, არამედ შრომის ნაყოფიერების გადიდება და დამუშავების იმ ნორმის ზრდა, რომელიც მოდის თვითეულ მუშაზე ყოველდღიურად. ა.-კ. პროფორგანიზაციების სატარიფო განყოფილებათა მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ ყველა წარმოებებში შრომის ნაყოფიერება გასულ სამეურნეო წელთან შედარებით 25—30 პროც. გადიდებულია, ამავე დროს საგრძნობლად შემცირებულა დანართი ხარჯების საერთო ჯამი.

საქმის ასეთი ვითარების გამო, კავშირებს გადაწყვეტილი აქვთ ჩაატარონ კოლექტ. ხელშეკრულების ახალი კამპანია ხელფასის გადიდების მიზნით. ცალკე რესპუბლიკების მიხედვით მოსალოდნელია შემდეგი ცვლილებები ხელფასის საკითხში: აზერბეიჯანში სატარიფო ქსელის პირველ ჯგუფისათვის ხელფასის მომატება განისაზღვრება 25 პროც.-ით, საქართველოში სხვადასხვა კავშირების მიხედვით ხელფასი გადიდდება 12—20 პროცენტამდე, სომხეთში ხელფასი გაუდიდდებათ ზოგიერთ კავშირებს იმდენივე რაოდენობით, როგორც საქართველოში. რკინისგზელებისათვის ხელფასის რაოდენობას ამუშავებს ცენტრი. ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირის სატარიფო განყოფილების ცნობებით, რკინისგზისათვის წესდება 4 სარტყელი განაკვეთებით 11 მან. და 50 კაპეიკიდან 15 მანეთამდე. ა.-კავკასიის რკინისგზა შევა მეორე სარტყელში, რომლისათვის დაწესებულია 14 მანეთი—მინიმუმი. სახალხო მეურნეობის კავშირისათვის მოსალოდნელია ხელფასის 20—25 პროცენტით გადიდება.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებს, გაერთიანებულ სახალხო კომისარიატების მუშა-მოსამსახურეებისათვის ხელფასი განსაზღვრული იქნება 10 მანეთით—პირველი ჯგუფი, ხოლო დამოუკიდებელი სახ. კომ. მოსამსახურეებისათვის 9 მანეთი—პირველი ჯგუფი.

ამ საკითხს ამ ჟამად არკვევს ცენტრი.

საბინაო მშენებლობა

ამ ჟამად ტფილისში მიმდინარეობს გაცხოველებული საბინაო მშენებლობა.—ხდება დანგრეული სახლების რემონტი და შენდება ახალი სახლებიც.—სახლების შენებას და შეკეთებას აწარმოებენ საბინაო ამხანაგობანი, კომუნალური მეურნეობის განყოფილება, „სამშენი," „ცენტრომშენი", საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტი და სხვა.

მიმდინარე წლის ზაფხულიდან სახელმწიფო, კომუნალურმა და კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა გააძლიერეს ჯერ კიდევ გასულ წლებში დაწყებული საბინაო მშენებლობა, რომელიც წელს სწარმოებს უფრო ფართე მასშტაბით. მრავალ მშენებელ ორგანიზაციებს შორის თავისი ფართო გეგმით და პროგრამით პირველი ადგილი უჭირავს საზოგადოება „ცენტრომშენი"-ს, რომელსაც 1925—26 სამეურნეო წლისათვის განზრახვა აქვს ააგოს 60 სახლი, რომელთაც ექნებათ დაახლოვებით 300 ბინა. გეგმები, პროექტები და ხარჯთაღრიცხვა უკვე შედგენილია. თვითეული სახლი დაჯდება 5000 მანეთამდე. ტეხნიკური პერსონალი და მუშა-ხელი უკვე შერჩეულია. თანხებს „ცენტრომშენი" გაიღებს ცენტრალური დაწესებულებებიდან. სახლების შენება დამთავრდება მომავალ წლის დამლევს.

საბინაო სახლების აგებას აწარმოებს აგრეთვე ა | კ. რკინისგზის პროფკავშირის საბჭოსთან არსებული საამშენებლო კომიტეტი, რომელიც სახლებს აგებს ა | კ. რკინის გზის მთელი ხაზის გასწვრივ მდებარე ცენტრებში: ტფილისში, ბაქოში, ბათომში, განჯაში და სხვ. კომიტეტი აშენებს უფრო დიდ სახლებს და უფრო მკვიდრს, ვიდრე „ცენტრომშენი". ამიტომაც უფრო ძვირი ჯდება.

ტფილისის კომუნალური მეურნეობა საჭიროდ სცნობს იმ მუნიციპალიზაციაქმნილ სახლების შეკეთებას, რომელნიც არ გადასულან საბინაო ამხანაგობათა ხელში.

მრავალ სახლში რემონტი უკვე დასრულდა. სახლების კაპიტალური შეკეთების შემდეგ დიდათ გაიზარდა საცხოვრებელი მოედანი, რომლის ნაწილი სიძველის გამო გამოუყენებელი იყო. ტფილისის კომუნალურმა განყოფილებამ შეაკეთა აგრეთვე ტფილისის ყველა სკოლების შენობები. ტფილისის კომუნალური ბანკიც აწარმოებს იმ შენობების შეკეთებას, რომლებიც მის გამგებლობაში იმყოფებიან.

ტფილისის აღმასკომის განკარგულების შემდეგ სახლების შეკეთებას ხელი მოჰკიდეს საბინაო ამხანაგობებმა. ამ ჟამად იშვიათია ამხანაგობა, რომელიც არ აკეთებდეს სახლების ნაწილობრივ რემონტს.

ჯერჯერობით სახლებისადმი უყურადღებობას იჩენენ სახლების კერძო მეპატრონენი.

სასწავლო წლის დაწყება

დაბალ და საშუალო სასწავლებლებში

საქართველოს დაბალ და საშუალო სასწავლებლებში გამოცდები დაიწყო 15 სექტემბრიდან, გრძელდებოდა ერთ კვირას. 22 სექტემბრიდან ყველგან დაიწყო სისტემატიური მეცადინეობა.

უმაღლეს სასწავლებლებში

მიმდინარე სამოსწავლო წელს ტფილისს მოაწყდა აუარებელი ახალგაზრდობა, რომელთა შორის სჭარბობს სახელმწიფო უნივერსიტეტში შესვლის მსურველთა რიცხვი. ახალგაზრდების უმრავლესობა ჩამოსულია დასავლეთ საქართველოდან.

სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღების შესახებ შესულია 1500-ზე მეტი განცხადება. განცხადებათა მიღება 10 სექტემბრიდან შეწყვეტილია. ახალგაზრდების ასაკი 20 წელს არ აღემატება, დიდ უმრავლესობას შეადგენენ გლეხების შვილები.

ყველაზე მეტი განცხადება შესულია პოლიტეხნიკურ განყოფილებაზე—(400-ზე მეტი), მეორე ადგილი უჭირავს სოციალურ-ეკონომიურს—300. უნივერსიტეტში წელს არის სულ 475 თავისუფალი ვაკანსია. აქედან გამოცდებით მიიღებიან—475 ახალგაზრდა, უგამოცდოთ—200.

განზრახულია ვაკანსიათა რიცხვი გადიდებულ იქნეს იმის მიხედვით, თუ როგორი იქნება უნივერსიტეტში შემავალთა მომზადების დონე.

გამოცდები, რომლებიც დაიწყო 10 სექტემბერს, დასრულდება 25—30 სექტემბერს.

პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში შესული იყო 400 განცხადება. აქედან გამოცდებზე დაუშვეს 200 ახალგაზრდა. გამოცდები დაიწყო 14 სექტემბერს, დამთავრდა 20-ს.

სამხატვრო აკადემიაში შესულია 60 განცხადება, აქედან 45 მუშის განცხადებაა. საკონკურსო გამოცდები დაიწყება 28 სექტემბერს და დამთავრდება 1-ლ ოქტომბრისათვის. თავისუფალ ადგილების რაოდენობა გამორკვეული იქნება საანგარიშო გამოცდების დასრულების შემდეგ. გამოფენა დამთავრდება 28 სექტემბერს.

სახელმწიფო კონსერვატორიაში განცხადების მიღება მოსალოდნელი რეორგანიზაციის და პედაგოგიური შტატის შემცირების გამო არ სწარმოებს.

ქრონიკა

შრომის კომისარიატში

— დასასვენებელი დღეების დაწესება თემებში. ვინაიდან გლეხებს ჩვეულებრივ დასასვენებელ დღეებში უფრო მეტი საშუალება ეძლევათ მიმართონ ადგილობრივ ხელისუფლების ამა თუ იმ დაწესებულებას, ამიტომ შრომის კომისარიატმა და შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატმა დაადგინეს, თემებში დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთათვის დასასვენებელ დღეთ (კვირის მაგიერ) შემოღებული იქნას ორშაბათი.

ხოლო იმ რაიონებში, სადაც დღემდე შემოღებული იყო პარასკევი დასასვენებელ დღეთ, ასეთი გადატანილი იქნას შაბათს.

უმაღ. სამეურნეო საბჭოში

— შავი ქვის ამოღება. აგვისტოს განმავლობაში ჭიათურის მაღაროებიდან ამოღებულია 2,013,277 ფუთი შავი ქვა.

— თამბაქოს ნაწარმოების გასაღება. უმაღ. სამ. საბჭომ აგვისტოში გაასაღა 620,414 მანეთის თამბაქო და პაპიროსი.

— საპნის მრეწველობა. უმაღ. სამ. საბჭოს საპნის ქარხნებმა აგვისტოში დაამზადეს 63,135 მანეთის საპონი.

მიწათმოქ. სახ. კომისარიატში

— ჩარჩოიანი სკები. მომავალ წელში მიწათმოქ. სახ. კომისარიატი წარმოკავშირთან ერთად დაამზადებს 3 ათას ჩარჩოიან სკას, გლეხებისათვის შეღავათიან ფასებში დასარიგებლად.

— ცოდნა გლეხებს. მიწათმოქ. კომისარიატმა წინადადება მისცა სამაზრო აღმასკომებს გამოგზავნონ ახალგაზრდა გლეხები ტრაქტორზე მომუშავეთა კურსებზე სასწავლებლად.

— ღორის ჭირის წინააღმდეგ. მიწათმოქ. კომისარიატმა თელავის მაზრაში გაჩენილ ღორის ჭირთან საბრძოლველად გაგზავნა 2 ათასი ღორის ასაცრელი შრატი.

ტფილისის აღმასკომში

— სკოლების შეკეთება. ტფ. აღმასკომმა სკოლების დაჩქარებით შესაკეთებლათ გადასდო 30.000 მ.

— აღმასკომის სამხედრო სექციის საჭიროებისათვის ტფ. აღმასკომი ახალ ხარჯთაღრიცხვით გაიღებს 10.000 მან.

— ზაჰესის ძალის გამოსაყვანათ. ამჟამად სწარმოებს ორი ჯგუფის სამპირი მუშაობა ზაჰესის დაბალი ძაბვის ძალის ხაზის გამოსაყვან ბოძების დასადგმელად.

— ქუჩების განათება. დამთავრდა ქუჩების განათების ახალი ტეხნიკური პროექტის შემუშავება.

— ქ. სასაკლაოზე გასულ თვეში დასაკლავად მორეკილი იქნა 12,511 სული საქონელი.

ტფ. დამზღვევ სალაროში

— დასახიჩრების გამო შრომის უნარდაკარგულებს ტფ. დამზღვევი სალარომ გასულ თვეში აუნაზღაურა 1.218 გაცდენილი დღე.

— ფულადი დახმარება. დამზღვევ სალარომ აგვისტოში ფულადი დახმარება მისცა 1574 უმუშევარ დაზღვეულს.

ჯანმრ. სახ. კომისარიატში

— დახმარება სულით-ავადმყოფებს. ჯანსახკომის ცნობით საქ. საგეგმო კომისიამ დაამტკიცა სულით-ავადმყოფთა დამხმარე საზ-ბის წესდება.

— დეზინფექტორების კურსები. ჯანსახკომმა გადასწყვიტა ახლო ხანში მოაწყოს განმეორებითი კურსები დეზინფექტორების მოსამზადებლად.

სხვადასხვა

— ერთი საუკუნის წლის თავზე. ა | კავკასიის რკინისგზის სამმართველო შეუდგა მზადებას პირველად ინგლისში სტეფენსონის მიერ რკინისგზის გაყვანიდან ერთი საუკუნის თავის აღსანიშნავ დღესასწაულის მოსაწყობათ.

— კულტკონფერენცია. 30 სექტ. ტფილისში ავტო-კლუბში შესდგება სრ. საქ. ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კულტსექციების წარმომადგენელთა კონფერენცია.

— მელითონეთა კავშირის სრ. საქართველოს მე-6 ყრილობა შესდგება 15 დეკემბერს.

— სამზარეულო ღუმელები გლეხებისათვის. გლეხკომების ცენტკომიტეტმა ძერჟინსკის სახელობის ქარხანას შეუკვეთა სამზარეულო ღუმელების დამზადება, აღნიშნული ღუმელები სათბობს სწვავენ 50 პროც. ნაკლებს.

— პაპიროსების დამზადება. ამ ჟამად მთელ საქართველოში თამბაქოს მრეწველობა ყოველთვიურად ამზადებს 120 მილიონ ცალ პაპიროსს, 20 მილიონით მეტს შარშანდელთან.

— მებამბეობა. მიმდინარე სეზონში იმერეთში ბამბის ნათესებს უკავიათ 1030 დესეტინა მიწა.

— მიზნობრივი სესხი. მთელ საქართველოში შინაურ ფრინველების მოსაშენებლად საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკი გასცემს 35 ათას მანეთს მიზნობრივ სესხათ.

— საბჭოთა მუშაკების პროფკავშირის ქართულ საანგარიშო მეცნიერებათა კურსებზე ჩარიცხვა იწარმოებს 1-ლ ოქტომბრამდე.

— ახალი წიგნი. იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა სახელ. საბუღალტრო კურსების ლექტორის ზაქ. ინწკირველის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო: „ბალანსი, მისი შედგენა და ანალიზი".

ახალი სამეურნეო ჟურნალი

ამ მოკლე ხანში ტფილისში იწყებს გამოსვლას კ. ბერეკაშვილის რედაქტორობით და სხვა სპეციალისტების თანამშრომლობით ჟურნალი „მევენახეობა და მეღვინეობა".

ხელოვნება

სახელმწიფო საოპერო აკადემიის სიმფონიური ორკესტრი

დაბრუნდა ტფილისში სახელმწიფო საოპერო სტუდიის სიმფონიური ორკესტრი, რომელიც სამი თვის განმავლობაში მუშაობდა ბორჯომში და მთელი ზაფხული მოანდომა სიმფონიურ და საოპერო რეპერტუარის შესწავლას და საჯაროთ შესრულებას.

მხოლოდ ეხლა შეიძლება ლაპარაკი იმაზე, თუ რა მიღწევები აქვს და რა წარმატება დაეტყო ამ ორკესტრს. ყველას გვახსოვს რა სიძნელეს წარმოადგენდა ორკესტრისათვის ჩიბაროვის ოპერა „ფარული ქორწინება", რომელიც შესრულებული იყო მხოლოდ ხუთი თვის მზადების შემდეგ.

ამჟამად კი ჩვენ ვხედავთ იმავე ორკესტრს, რომელიც ამზადებს მთელ ოპერას „რიგოლეტოს" სამი რეპეტიციით. ჩვენ გვახსოვს აგრეთვე, რომ ზაფხულის დასაწყისში ამ ორკესტრმა გადასდო „ფაუსტის" შესწავლა მისი სიძნელის გამო და ეხლა კი ყოველივე მხატვრულ და ტეხნიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებით ასრულებს კორსაკოვის „შეხერეზადას" და ჩაიკოვსკის მე-4 სიმფონიას.

ამის შემდეგ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ორკესტრში თავმოყრილმა ახალგაზრდობამ, მის ხელმძღვანელ ვანო ფალიაშვილთან ერთად მათზე დამყარებული იმედები გაამართლა და სამი თვის შემდეგ ჩამოვიდა ტფილისში, როგორც ძლიერი ერთეული სრული სიმფონიური ორკესტრის სახით. აქ არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ საქართველოს ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოება, რომელმაც დაარსა ეს ორკესტრი და რომელმაც სამი წლის განმავლობაში თავი მოუყარა ორმოცამდე ქართველ მუსიკოს-დამკვრელს და რომელმაც მიმდინარე ზამთარს გადასცა ორკესტრის მთელი შემადგენლობა ქართულ საოპერო სტუდიას.

ჩვენ ხელთ გვაქვს პირველად საქართველოს სინამდვილეში ქართველთაგან შემდგარი, მხატვრულად და ტეხნიკურად მომზადებული სრული შემადგენლობა დიდ სიმფონიურ ორკესტრისა.

ეს ორკესტრი უსათუოდ უნდა ჩაითვალოს იმ დედაბოძად, რომელზედაც აიგება ქართული ოპერა და ქართული სიმფონია. ამ ორკესტრის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია საოპერო საქმე მუშათა რაიონებში ფართო მასშტაბით ვაწარმოვოთ, ეს ორკესტრი ჰქმნის შესაძლებლობას პროვინციასაც ვემსახუროთ.

საჭიროა შენახვა ამ ორკესტრის იმ სახით, რასაც იგი დღეს წარმოადგენს. საჭიროა ეს ორკესტრი საქართველოს აკადემიურ სიმფონიურ ორკესტრად იყოს აღიარებული. საჭიროა ეს ორკესტრი დღესვე სახელმწიფო ხარჯზე იყოს აყვანილი. წინააღმდეგ შემთხვევაში დაიშლება ის საქმე, რომელსაც ასეთი სიყვარულით ოთხი წლის განმავლობაში თავს ევლებოდა ქართული ახალგაზრდობა და რომელიც ამჟამად უკვე დაგვირგვინებულია.

დ. ს.

— სამხედრო კონცერტი. დემობილიზაციით გაშვებულ წითელარმიელთათვის სექტემბრის ბოლო რიცხვებში გაიმართება გრანდიოზული კონცერტი, ტფილისში არსებულ ყველა სამხედრო ორკესტრების მონაწილეობით.

— მოსე თოიძის სახალხო სამხატვრო სტუდიაში მეცადინეობა დაიწყება 1 ოქტომბრიდან. ამ ჟამად სწარმოებს მოწაფეთა მიღება, საღამოს 6—8 საათამდე ნიკოლოზის ქ. № 8.

შემთხვევები

მკვლელობა ს. ყარაიაზში.

16 სექტემბერს სოფ. ყარაიაზში მოხდა მკვლელობა. სოფ. ყარაიაზის მცხოვრები მუსტაფა შერიფ ოღლი თავს დაესხა სოფ. ქესალოში მუსტაფა ზარგარ ოღლის ოჯახს, სადაც იმყოფებოდა შერიფ ოღლის ყოფილი ცოლი, რომლის მოსატაცებლად შერიფ ოღლიმ თავის ძმასთან ერთად შემილთან მოაწყო აღნიშნული თავდასხმა.

თავდამსხმელებს წინ გადაუდგა ქალის დედა ფატმა ნაზი კიზი, რომელიც თავის გაქცეული წინააღმდეგობის გაწევით სცდილობდა არ დანებებოდა ქალი მომხდურებისათვის.

მუსტაფა შერიფ ოღლიმ სიდედრის შეუბრალებლად ატეხა სროლა, რის დროსაც ტყვიით სასიკვდილოთ დაიჭრა ფატმა ნაზი კიზი და 8 წლის ბავში ჯანფა მუსტაფა კიზი. თავდამსხმელები შეაშინა ამ სურათმა, ქალის მოტაცებას თავი მიანებეს და მიიმალნენ.

ყარაიაზის სათემო მილიციამ შეიპყრო ორივე დამნაშავე და გადმოუგზავნა ტფილისის მაზრის [illegible] უბნის სახალხო გამომძიებელს.

— თავის ჩამოხრჩობის განზრახვა. 22 სექტ. საღამოს სასტუმრო „ავრორაში" მოქ. გაიანე თურქიამ მოინდომა თავის ჩამოხრჩობა მაგრამ გადაარჩინეს.

— ქურდი შვილისშვილი. 22 სექტ. მაღაზინის ქ. № 27 მარიამ ნადირაძეს მოპარეს საკერავი მანქანა. დაზარალებულს ეჭვი აქვს თავის შვილისშვილზე ვ. ნადირაძეზე.

— ქურდობა. 22 სექტ. სასახლის ქ. № 6 ბარბარე ათინანცს მოპარეს 400 მან. ნივთები.

— ამავე დღეს ხონის შესახვევში გატეხეს იოსებ ჯაფარიძის ბინა. წაიღეს 120 მ. ნივთები.

მუშათა ცხოვრება

ჩვენი ადგილკომები

ადგილობრივი მუშა-მოსამსახურეთა კომიტეტები ან და პროფრწმუნებულები ითვლებიან ჩვენი პროფკავშირების პირველ საფეხურის დიდმნიშვნელოვან დამხმარე ორგანოებათ წარმოება-დაწესებულებებში. როგორც ვიცით, მათ აქვთ დაკისრებული ფრიად საპასუხისმგებლო, რთული და სერიოზული მოვალეობანი, როგორიცაა მაგ.—წარმომადგენლობა და მათ მიერ გაერთიანებულ დაწესებულებათა და წარმოებათა ადმინისტრაციის წინაშე მუშა-მოსამსახურეების ინტერესების დაცვა, მათი შრომის პირობების და ყოფა-ცხოვრების ყოველგვარ საკითხებში; ფხიზლათ, შეუდრეკლად, შეუშინებლად და მტკიცეთ მათ ევალებათ თვალყური ადევნონ იმას, თუ რამდენათ სწორად და კეთილსინდისიერად ამა თუ იმ წარმოება-დაწესებულებების ადმინისტრაცია ასრულებს შრომის კანონთა მიერ დაწესებულ შრომის დაცვის, სოც-დაზღვევის, შრომის ხელფასის დროზე დარიგების, სანიტარულ წესების და შრომის ტეხნიკურათ უზრუნველყოფის ნორმებს და წესებს; მათვე უნდა შეუწყონ ხელი შრომის დაცვის სახელმწიფო ორგანოებს მათ ყოველდღიურ მუშაობაში; მათვე ევალებათ აწარმოვონ გამუდმებული, სისტემატიური მუშაობა მუშა-მოსამსახურეთა კულტურული და მატერიალური დონის თავის დანიშნულების სიმაღლეზე ასაყვანათ: მათვე უნდა შეუწყონ ხელი თავისი ცოდნა-გამოცდილების მიხედვით წარმოება-დაწესებულებების წარმატებით მუშაობას და სხ. (იხ. შრომის კანონთა კოდექსი მუხ. 156—158).

ასეთი რთული, სერიოზული და ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანა და მოვალეობანი აწევთ ჩვენს ადგილკომებს, ფაბ.-ქარხკომებს და პროფრწმუნებულებს. აქედან ჩვენთვის ცხადზე უცხადესია ის, თუ რა დიდი ცოდნა-გამოცდილების მარაგის პატრონი უნდა იყვნენ ადგილკომების ყველა წევრები თუ არა, მათი ხელმძღვანელები (პასუხისმგებელი მდივნები) მაინც. უპირველეს ყოვლისა ისინი უნდა იყვნენ აუცილებლათ პროფესიონალურათ მომზადებულნი და შრომის კანონების ნორმების და წესების ზედმიწევნით მცოდნენი.

თუ ასეთი ცოდნა-გამოცდილება ადგილკომების მუშაკთ არა აქვთ, ფუჭია, უნაყოფო და საზიანოც მათი მუშაობა როგორც მუშა-მოსამსახურეთა, ისე წარმოება-დაწესებულებათათვის.

მართლაც, როგორ, რა საშუალებებით და მეთოდებით უნდა დაიცვან მათ მუშა-მოსამსახურენი ყოველგვარ ექსპლოატაციისაგან, თუ თვითონ ისინი ვეღარ ერკვევიან შრომის დაცვის საკითხებში; ან რა გვარი ავტორიტეტი, პრესტიჟი, ნდობა და პატივი უნდა მოიპოვონ ასეთმა ადგილკომებმა მათ ამრჩევლებში, თუ კი ადგილკომის წევრები, პროფმომზადებაში სრულებით არ განსხვავდებიან სხვა ამრჩევლებისაგან.

ჩვენ უნდა მივიღოთ ყოველგვარი ზომები, რომ ჩვენი ადგილკომების მუშაობა ავიყვანოთ სათანადო სიმაღლეზე, რათა მათ კვლავ მოიპოვონ მუშა-მოსამსახურეთა ის პირვანდელი ნდობა და პატივი, რაც მათ ჰქონდათ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღიდანვე.

საჭიროა ჩვენი ადგილკომების რეორგანიზაცია-გადახალისება, რათა მათ უმტკივნეულოდ შესძლონ თავის დიდ მნიშვნელოვან მოვალეობის ასრულება.

ლენინელი.

მუშისა და გლეხის კავშირი ურღვევია

სოფელ საჭილავოს ხე-ტყის ქარხნის და მარნის თემის პასუხისმგებელი ამხანაგების თაოსნობით გამოშვებულ იქნა კედლის გაზეთი ქარხნის და თემის ძალების მიერ. ეს გაზეთი გამოდის კვირაში ერთხელ და ეგზავნება თემის ყველა სოფლებს; ქარხნის მუშები და სოფლის გლეხკაცობა ამ გაზეთის გამოშვებას დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ, რადგანაც მათ მიეცათ შესაძლებლობა კედლის გაზეთში ფართოდ გააშუქონ ადგილობრივი ცხოვრების ყველა ის საჭირბოროტო მტკივნეული საკითხები, რომლებიც თავის მხრივ მოითხოვენ ჯეროვან ყურადღებას.

ჩვენ, ქარხნის მუშები, დარწმუნებული ვართ რომ ეს გაზეთი პირნათლად შეასრულებს თავის ამოცანებს და სავსებით გაამართლებს თავის დანიშნულებას.

მუშკორი დო—ლია.

ენერგია უბრალოდ იხარჯება

არტილერიის ბალკაში, კარუსელის დაღმართზე, მალაიანცის სახლის წინ ელექტრონის სინათლე დღე და ღამე იწვის და მისთვის არავინ ზრუნავს, რომ დასახური გაუკეთოს და დღისით შეიძლებოდეს მისი ჩაქრობა. ასე დღე და ღამე წვით ლამპა მალე გამოიწვის და აქ მცხოვრებნი კვლავ ბნელაში დავრჩებით.

ბალკელი მუშა.

გამოუგზავნილი წერილებიდან

— **უპატიებელი საქციელი.** აგვისტოს 13-ს დასავლეთ საქართველოს ხაზზე მიმავალ მატარებელში მოხდა ასეთი შემთხვევა: მოძრაობის დარგის მე-10 უბნის უფროსმა ინჟ. ლიკუმ სიმთვრალის გამო მგზავრები შემაწუხებელ მდგომარეობაში ჩააყენა, რის გამოც მგზავრებმა იგი მატარებლიდან გააძევეს და სადგურ შორაპანში დატოვეს, სადაც ოქმი იქნა შედგენილი.

მოსთხოვეთ პასუხი.

შაწვაშიძე.

— **რატომ და რისთვის?** თუმცა საკურორტო ადგილებში დასასვენებელ სახლების საქმე მშვენივრად იყო დაყენებული, მაგრამ საკურორტო განყოფილებას ერთი ცუდი ჩვეულება სჭირდა. მის ადგილებში შემოტანილ საქონელს გინდაც არაფერი წაეხდინა, ის მაინც ამწყვდევდა და გლეხს ჯარიმას ახდევინებდა. საჭიროა ასეთი ჩვეულება მოსპონ.

მუშა ქ—შვილი.

— **ადმასკომო, მიაქციე ყურადღება.** მე-5 უბანში, ბერძნის ქუჩაზე წყლის ონკანთან დიდი დავიდარაბაა. წყალი ოდნავ წვეთავს, ვინც მოცლილია მთელი დღე და ღამე იდგეს, შეიძლება ერთი ან ორი ვედრო ერგოს, ვინც არა და წყურვილით უნდა დაიხრჩოს. მიაქციეთ ამ მდგომარეობას ყურადღება.

მუშა-ქალი ანა—ანაშვილი.

— **ცემა-ტყეპის დრო წავიდა.** ივნისის 6-ს ალმასკომის ქარვასლის კომენდანტმა სარქისიანმა უმიზეზოდ სილა გაარტყა მუშას ამხ. შ. გელიკაშვილს, რომელიც დაღლილ-დაქანცული მუშაობიდან ბრუნდებოდა სახლში. ალმასკომო, გამოარკვიე სასწრაფოდ ეს შემთხვევა.

მ. ბეგიაშვილი.

— **მოუარეთ უპატრონოს.** თხინვალის შესახვევში სახ. № 11-ში სცხოვრობს უპატრონო სულით ავადმყოფი დედაკაცი, რომელსაც მდგმურები შიშში ჰყავს. იყო შემთხვევა, რომ კინაღამ სახლი გადასწვა.

მიაქციეთ ყურადღება.

ს. კ—ბუაძე—უხილავი.

— **ჩვენ გვიგდებს, თუ თავს იგდებს.** ჯანმრთელობის განყოფილების შემწეობით რკინისგზელებს საშუალება აქვთ მოქ. გორნიგისაგან სათვალეები უფასოდ მიიღონ, მაგრამ იგი ისეთ ცუდ ხარისხისას უმზადებს მუშებს, რომ მაშინვე ფუჭდება. შეკეთებაში კი ის ფულს ახდევინებს.

მიაქციეთ ყურადღება.

მუშა და—ლელი.

— **ეს ნაკლიც გამოაკეთეთ.** მუშტაიდის ბაღი მშვენივრად არის მოწყობილი ყოველ მხრივ, მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს მას. ეს ის არის რომ კინოს საქმე ვერ არის კარგად დაყენებული. მუშა სიამოვნების მიღების მაგიერ, შეწუხებული და მოქანცული ბრუნდება სახლში, სურათების და ლენტების უვარგისობის გამო.

მუშა—რელი.

— **გაგვიშენეთ ბაღი.** ვარდის ქუჩაზე არის „ბაღი", მაგრამ შიგ არავითარი მცენარე არ არის. კარგი იქნებოდა მოევლოთ ამ ბაღისთვის, რომ იქ მცხოვრებ მუშებსაც ჰქონდეთ დასასვენებელი ადგილი.

მ—შვილი.

— **ეს უსათუოდ უნდა შეკეთდეს.** კახეთის ქუჩაზე (მე-7 უბ.) № 12 შენობაში სარდაფის ფანჯრები ჩამტვრეულია, რის გამოც ღამე მოსიარულეთ საფრთხე მოელით; შესაძლებელია მოსიარულე შიგ თრმოში გადაიჩეხოს.

მუშკორი ილდარი.

სოფელი

„შეურაცხყოფილი" თავმჯდომარე

(ს. ორბელი, ლეჩხ. მ.)

ის იყო წარმოდგენა უნდა დაწყებულიყო, გლეხები მოუთმენლად ელოდენ ფარდის აწევას, რომ მოულოდნელათ ფარდის უკან დაიწყო „მოქმედება". შეიქნა ერთი ჩოჩქოლი და აურზაური. ისმოდა უშვერი სიტყვები და ლანძღვა-გინება.

დიდხანს უსმენდენ დამსწრენი ხმაურობას. ზოგიერთი ფიქრობდა, რომ ეს პიესის პროლოგი იყო. ამბობდენ, ესაა ივარგეს ორბელის სცენისმოყვარეებმა და ახალი დადგმით უნდათ ჩაატარონ წარმოდგენაო...

გარგა ხანს უცადეს სცენის გახსნას, მაგრამ ფარდა ოდნავადაც არ შერხეულა. ხმაურობა კი მატულობდა. ზოგიერთ სულმოკლე დამსწრეთაგანს მოთმინება აღარ ეყო. თუ მაჰმადი არ მივა მთასთან, მთა მაინც მივა მაჰმადთანო, გადასწყვიტეს მათ და წამსვე თავი კულისებში ამოჰყვეს...

შუაში იდგა ბურჯალიანი თავის მილიციონერებით. გარშემო სცენისმოყვარენი შემოხვეოდენ. „ვინ მოგცათ ნება კონტრამარკით თქვენი ნათესავები შემოიყვანოთ?"—გაიძახოდა თავმჯდომარის მოადგილე.

აღშფოთებული სცენისმოყვარეები უმტკიცებდენ, რომ თეატრს თავისი გამგეობა ჰყავს და შინაურ წესრიგთან მას არაფერი საქმე აქვს, რომ კონტრამარკით სცენისმოყვარეთა ნათესავების შეშვება არ არღვევს საერთო წესს.

მაგრამ გათამამებული ბურჯალიანი არ სცხრებოდა. მან როგორც იყო წარმოდგენის ჩატარება დააცალა სცენისმოყვარეებს და შემდეგ ერთი მათგანი დააპატიმრა „მოვალეობის ასრულების დროს ხელისუფლების წარმომადგენლის შეურაცხყოფისათვის".

ამნაირად ბურჯალიანის ადმინისტრატიულ ლოღიკას რომ გავყვეთ, მას უფლება ჰქონდა ჩარეოდა მსახიობების კოსტიუმების, ან გრიმების შერჩევაში, და თუ ვინმე წინ აღუდგებოდა, ის იქნებოდა „ხელისუფლების შეურაცხმყოფელი მოვალეობის ასრულების დროს".

ამ უთანხმოების შემდეგ ს. ორბელში წარმოდგენები აღარ იმართება. სცენისმოყვარეები დააფრთხო ალმასკომმა, როგორც ქორმა წიწილები.

დათვური სამსახური ამას ჰქვია თუ არა?

გ—მელეჟი.

როგორ მოვიქცეთ?

სოფ. ტყვიავში (გორის მაზრა) არის მეხილეთა კოოპერატიული ამხანაგობა „ლიახვი". მას ჰყავს 415 წევრი, რომელთაც წელს აქვთ გასასაღებელი 80.000 ფუთი ზამთრის ვაშლი.

სამწუხაროდ ისეთი პირობებია შექმნილი ამ-ბა „ლიახვი"-ს გარშემო, რომ მოსალოდნელია ამოდენა მოსავლის მთლად დაღუპვა.

„ლიახვი" შარშან მუშაობდა სხვისი კრედიტებით, მაგრამ წარსული მკაცრი ზამთრის გამო, აუარებელი ხილი დაიღუპა და იმდენად დავალიანდა, რომ ყოველი დაწესებულება მას, როგორც ხოლერიანს, ერიდება და არ აძლევს კრედიტს.

ყველა გვიჩვენებს თავის დებულებებს: „თამასუქები პროტესტშია და თქვენ ვერ მოგეკარებითო". ეს სიმართლეა, მაგრამ რა შუაშია საწყალი გლეხი, რომ ვილაცას უთაოობით მას მოსავალს უღუპავთ? 2 წელიწადში ერთი მოსავალი მოსდის, იმისი პურიც ის არის, მისი ნავთიც, აქედან ელის ჩაცმას და დახურვას.

ამხანაგობას არა აქვს არც სარდაფები ხილის დასაწყობათ, არც ყუთები ხილის ბაღებიდან გამოსაზიდათ და არც რაიმე თანხა გლეხებთან გასასწორებლად და ხილის ბაზარზე გასატანად. თუ მალე რაიმე შველი არ დაედო ამ უბედურებას, ღრმად მწამს, რომ მთელი მოსავალი ბაღებში დარჩება და დაიღუპება, რადგან თვით გლეხობას არავითარი საშუალება არა აქვს მის მოსავლელათ.

ასეთივე ბედი მოელის მთელს რაიონს, სადაც 400.000 ფუთზე მეტს მოელიან.

მართალია ზოგ სოფლებში დაძრწიან კერძო ვაჭრები, მაგრამ ფაქტია, რომ მათ არავითარი თანხა არა აქვთ. ამისთვის ისინი ცდილობენ მოტყუებით და მახინაციებით დასტყუონ გლეხს ხილი ნისიად და როგორც შარშანდელ ფულს მისტირიან გლეხები, ისევე წელს მოუხდებათ მათი უკან დევნა.

რამდენიმე კვირის წინად სოფლად ხმა გავრცელდა,—ჩვენს რესპუბლიკაში მეხილეთა და მებოსტნეთა ამხანაგობათა ცენტრი შესდგა და მალე გლეხებს მიეშველებიანო; მათ სიხარულით აღარ ეძინათ და სულ მოლოდინში იყვნენ, მაგრამ სამწუხაროდ ხმა ხმად დარჩა და რეალური კი ჯერ არაფერი სჩანს.

გვალვიანი ზაფხულის გამო, წელს მოსავალი ნაადრევია და თუ ამ 10—15 დღეში არავინ მიეშველა ხილს, საქმე დაღუპულია.

როგორ მოვიქცეთ, აღარ ვიცით!...

ტყვიაველი.

წერილებიდან

ს. მუხრანი (დუშ. მ.)

კლუბს ბუხრები ემუქრებიან. მაზრის შემართვით ს. ქსოვრისიდან გადმოიტანეთ კლუბისათვის ყოფილ მემამულის შენობა. გლეხებმა შრომა არ დაიზარეს და მოზიდეს შენობისათვის საჭირო მასალა. დღემდი ეს მასალა ცის ქვეშ უპატრონოთ დაყრილი მოუხმარებლობით ლპება. შარშან ბევრ ოჯახს გაუწია მან შეშის მაგიერობა. თუ წელსაც ასეთ მდგომარეობაში დარჩა, სოფლის ბუხრები მას კარგ დღეს არ დააყრიან.

ლ. მუხისგუდი.

ტფილისი

მარჩიელი კატო. კატო ბაზიჯაგოვი სახელგავარდნილი მკითხავია. დილიდან საღამომდი მის კარებთან განჩარნის ქ. № 3 ხურჯინით დატვირთულ გლეხების რიგი დგას. რამდენჯერმე იყო გაზეთში აღნიშნული კატოს მატყუარობა, მაგრამ გათამამებული მკითხავი დამწერთ მხოლოდ მადლობას უძღვნის. „შერით, შვილო, ეს ჩემი რეკლამააო".

მუშკორი ეკალი.

კოჯორი

თავისუფლად დასეირნობს. აქაურ ალმასკომის მოანგარიშემ ყლაპი უქნა ხალხის ფულს—ექვსას მანეთს. ის მხოლოდ რამდენიმე დღით დააპატიმრეს და დღეს ისევ თავისუფლად დაიარება. ხალხზე ეს ცუდ გავლენას ახდენს. რაშია საქმე?

ხაჯი.

ისევ შალამბერიძეზე. აქაური ეპოს თავმჯდომარე შალამბერიძე „დედის შობილათ" ტიტველ-მშიერი დაიარებოდა, სანამ ეპოში შესდგამდა ფეხს. დღეს მას ნაირ-ნაირი ტანისამოსები აქვს. ებრაელებს ეტლით სახლში მიაქვთ მასთან ხალიჩები, თითონ წიადაგ კვირაში დაიარება ბაზარში ტანისამოსის შესაძენათ. ღვთისმშობლობა საღამოს მისას გათენებამდი „ოროველას" ძახილი იყო. უეტლოთაც ფეხს არსად გადადგამს. კარგი იქნება ცეკავშირიდან ვინმე შემოიხედავდეს კოჯრის ეპოში, თორემ ეს მეორეთ იწერება შალამბერიძეზე და ხმაურიც არსად ისმის.

ჩხარიში.

უმართებულო ბრალდება

გაზ. „კომუნისტის" № 96 მოთავსებული იყო კორესპონდენცია ზუგდიდიდან მასქალიას ხელმოწერით. წერილის ავტორი აღნიშნავდა, რომ სხვებთან ერთად ექიმ მუჯირმა უარი განაცხადა ღარიბ გლეხის ავადმყოფთან წასვლაზეო. უნდა მოგახსენოთ, რომ ექ. მუჯირი ამ ხანებში აგარაკ თეკანაში იყო, რომელიც ზუგდიდიდან 45 ვერსითაა დაშორებული და ამიტომ ეს ბრალდება მის მიმართ უადგილოა. საზოგადოთ მუჯირს ყველა იცნობს, როგორც პოპულიარულ და კეთილსინდისიერ ექიმს.

მედსანშრომის ზუგდიდის სამაზრო ადგილკომი.

სოფლის ქრონიკა

— **ტრაქტორების შეძენა.** გორის სამაზრო ალმასკომმა (გორ. მ.) დაადგინა შეიძინოს ერთი ტრაქტორი.

— **ხაშურის ალმასკომი** ამ დღეებში ხსნის დიდ სახარაზო სახელოსნოს.

— **სათესი მანქანები.** გორის თემალმასკომმა გადასწყვიტა მოაწყოს თემში სათესი მანქანების გასაქირავებელი პუნქტები.

— ახალქალაქში ამჟამად „მეყიმსის", „წარმოკავშირის" და ა. | ქ. სახ. ვაჭრობის წარმომადგენლები მეცხვარეებისაგან უშუალოთ აწარმოებენ შემოდგომის მატყლის შესყიდვას.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— პარასკევს, 25 სექტემბერს, დღის 1 საათზე, ტფილისის ალმასკომის თავმჯდომარის კაბინეტში შესდგება

საბინაო კომისიის სხდომა

კომისიის ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

საქ. კომპარტიის ტფილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა,

რომელიც დანიშნული იყო დღეისათვის—24 სექტემბერს,

აღარ შესდგება

ტბილისის კომიტეტის მდივანი—მიხ. კახიანი.

— საქ. კომპარტიის ტფილისის კომიტეტის საალრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდნენ ტფილისის კომიტეტის საალრიცხვო განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. კუტუხიძესთან.

1. ერისხინი ალექსანდრე, 2. მეტრეველი გიორგი იაკობის ძე, 3. ბოუჯარიშვილი ბენედიქტე ალექსანდრეს ძე, 4. ხურიძე გრიგოლ კონსტანტინეს ძე, 5. [illegible] ვასილის ძე, 6. მოგელაძე დომენტი ევსტაფის ძე, 7. ფალაკვაძე კლემენტი გერასიმეს ძე, 8. ადოსიძე ამბროსი.

— საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს 7 დღის განმავლობაში 23-დან 30 სექტემბრამდე გამოცხადდნენ კომკავშირის ტფილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში.

1. მარგიევი გიორგი, 2. კონტოევა ა., 3. ლაბაძე ვლადიმერი, 4. ტოკარევა ანტონინა, 5. კელჩინსკაია, 6. მაი ვლადიმერ, 7. კარაპეტიანცი არტემ, 8. მიხაილოვი ვიქტორ, 9. ტიტოიანცი არო, 10. დინეგი („ჩიკა"), 11. ხბაიძე ვლასა, 12. კობერიძე, 13. სამსონიძე პეტრე, 14. გიგაური გიორგი, 15. მამასახლისშვილი შალვა, 16. აკოპოვი სერგო, 17. კაზუმაშვილი ვლადიმერ, 18. კახიანი შალვა, 19 თენიეშვილი ალექსანდრე, 20. ბერიხანიანი თამარა, 21. მირზაბეკოვი რაფაელ, 22. თქომიძე ტელიშვილი გიორგი, 23. ანანიკოვი ნიკოლოზ, 24. ჩუქმარიკოვი სერგო, 25. მოროზი ელენე, 26. აფთაევი მიხეილ, 27. ვაგრამიანი აშოტ, 28. შენგელია ი., 29. წულუკიანი ნიკოლოზ, 30. ფარნიევა ნინა, 31. ნებიერიძე იულიანი, 32. ივანოვი კლიმენტი, 33. კოლბაია ნიკოლოზ, 34. ქელენტი ეკატი, 35. ხალაძე მიხეილ. 36. ისაგულოვი სურენ, 37. ოკუჯოვი პეტრე, 38. სარქისოვი გიორგი, 39. იბას შახვალადოვი, 40. რიზა-კული-გუსეინ-ზადე, 41. პანტიკიანი.

საქ. ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის ტფილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე: [illegible]

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იტყობინება, რომ დღეს, 24 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე რაიკომის ბინაზე (პლეხ. პროს. № 96) მოწვეულია არსენალის რაიონის ყველა კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების თათბირი.

დღის წესრიგი:

1) საინსტრუქციო მოხსენება კედლის გაზეთების მნიშვნელობის და მოწყობის შესახებ.
2) მიმდინარე საქმეები.

სავალდებულოა სარედაქციო კოლეგიების ყველა წევრების დასწრება.

საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე: მდივანი.

— საქ. კომპარტიის ტფილისის კომიტეტის საგიტ.-საპროპაგ. განყოფილება სთხოვს ამხ. პიკ-ავრამს (რკინიგზელი) და პიტ-ლასვას (პოლიტ-ხელმძღვანელი) გამოცხადდნენ 3 დღის განმავლობაში ამხ. ბეგიაშვილთან.

— ს. კ. პ. (ბ) კ. საალრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. [illegible] გიგოს ძე ზაქარიაშვილს გამოცხადდეს ც. კ. საალრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში.

— დღეს, 24 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე ქალ. რაიკომის შენობაში შესდგება წერკომის რაისაბჭოს გაფართოებული სხდომა. დასწრება ბიუროს ყველა წევრების და უჯრედების წარმომადგენლების სავალდებულოა.

— ს. ი. დ. კ. კ. ცეკა წინადადებას იძლევა, რათა გამოცხადდნენ ცეკას საალრიცხვო განყოფილებაში ხვალ დილის 10 საათზე შემდეგი ამხანაგები: 1. გეგიძე ნიკოლოზ, 2. კახიანი შალვა, 3. ჩინჩარაძე გერთან, 4. ჯოხაძე იასონ, 5. საგინაძე გრიგოლი.

— „რემედას"-ის ლენინის რაიონული საბჭო აუწყებს „რემედასის" უჯრედების ყველა მდივნებს, რომ 25 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე პლეხანოვის სახელობის თეატრში გაიმართება „რემედასის" საერთო სარაიონო კონფერენცია.

დღის წესრიგი: 1) „რემედასის" ტფილისის კომიტეტის მოხსენება, 2) „რემედასის" ლენინის სარაიონო საბჭოს ანგარიში, 3) „რემედასის" ტფილისის საქალაქო კონფერენციის დელეგატების არჩევა, 4) სარაიონო საბჭოს სარევიზიო კომისიის ანგარიში. „რემედასის" ლენინის სარაიონო საბჭოს თავმჯდომარე—გალპხაერი.

განცხადებები

27 სექტემბერს ლეჩხუმის სამაზრო ცენტრში—ქალაქ ცაგერში გაიხსნება დიდი

ბაზრობა

რომელიც გაგრძელდება ერთ თვეს.

7—4 ნ. 1725 [illegible] ალმასკომი.

თბილისის ქალაქის ლომბარდი (ლორის-მელიქოვის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას, 27 სექტემბერს, დილის 11 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ვადაგასულ გირაოებისა. გასაყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში.

ნ. 1756 1—1

მასწავლებელთა საყურადღებოდ!

გამოვიდა და იყიდება წიგნის მაღაზიებში მთავრობის მიერ ნებადართული ახალი სახელმძღვანელოები.

სიმ. ოცხელის და პლ. წულუკიძის—არითმეტიკულ ამოცანათა კრებული, ბუნებასა და შრომის ცხოვრებაზე დამყარებული.

წელიწადი პირველი—50 კ., წელ. მეორე—50 კ.

მზადდება წელიწადი მესამე.

საწყობის მისამართი: ქუთაისი, ლიბკნეხტის ქ., დავით ოცხელის წიგნის მაღაზია. 2472 5—5.

მატარებლების მოხსნა

ამიერ-კავკასიის რკინისგზათა სამმართველო

ამით აცხადებს, რომ საზაფხულო სეზონის დამთავრების გამო, 24 სექტემბრიდან მატარებლები №№ 61 და 62 (ბორჯომი—ბაკურიანი) და 27 სექტემბრიდან მატარებლები №№ 17 და 18 (თბილისი—ბორჯომი), №№ 60 და 63 (ბორჯომი—ცემი)—აღარ ივლიან.

1—1 ნ. 1757

გაზ. „კომუნისტი"

ხელისმომწერთა საყურადღებოდ ცხადდება შემდეგი:

1. **კოლექტიურ ხელისმომწერთა სიაში** სახელი, გვარი და მისამართი ხელისმომწერისა აუცილებლივ გარკვევით და სწორად უნდა იყოს აღნიშნული.
2. **ყოველგვარი ცნობების მისაღებად** (გაზეთის მიუღებლობა, დაგვიანება და სხვა) უთუოდ მთავარ კანტორას უნდა წარუდგინოს ქვითარი, ან ცნობოს ამ უკანასკნელის №.
3. **კოლექტიურ ხელისმომწერთა სიები** აუცილებლივ წარმოუდგინოს მთავარ კანტორას თავის დროზე (ყოველთვის 25—29 რიცხვამდე), ადგილობრივ ორგანიზაციის მიერ შემოწმებული.
4. **გაზეთების გამოწერის დროს** აუცილებლივ გადახდილი უნდა იქნას წარსული თვის ვალი მთლიანად.
5. **კონტრაგენტებისა და პროვინციის ხელისმომწერთა მიერ გაზეთების დაკვეთა** უნდა ხდებოდეს თვის დამლევამდე, აუცილებლივ მთავარ კანტორის ხელში ფულის გადმოგზავნით.
6. **გაზეთის მიუღებლობის შესახებ** უნდა ეცნობოს მთავარ კანტორას დაუყოვნებლივ და არა თვის ბოლოს, რასაც ხშირად აქვს ადგილი.

გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა

სურამ-ხაშურის უბნის სახალხო სას. აღმასრულებელი

ამხ. ი. ქურდევანიძე ამით აცხადებს, რომ 29 ენკენისთვეს ა/წ. დი
10—12 საათზე ქ. ხაშურის სახ. სასამართლოს შენობაში საჯარო ვა
რობით გაიყიდება უძრავი ქონება კუთვნილი ქ. ხაშურში მცხ. ვასი
ალექსის ძე თოფჩიაშვილის იგივე ჩადუნელის, რომელიც შესდგება ორ
სართულიან შენობისაგან, ზედა სართული ერთი ოთახით ხის შენობის
ქვედა ქვიტკირის ისევე ერთი ოთახით დახურული ყავრით, თავის ქვე
მდებარე ადგილით და ეზოთი ზომით, ვარაუდით სიგანით 4 საჟ. და
ნახ. არშ. და სიგრძით რვა საჟენი ჩრდილოეთით და სამხრეთით.—გორ
მთლიანი მომხმარებელი კოოპერატივის „ეპოს" ვალის დასაკმაყოფილებ
ლად 1398 მან. და 35 კ. თავის ხარჯებით. თანახმად ქ. გორის სახ. სას
მარ. ბრძანებისა სამი პროტესტქმნილი ვექსილებით. აღწერილი ქონება შე
ფასებულია 600 მან.

მყიდველებმა უნდა წარმოადგინონ კომ. განყოფილებისაგან მოწმ
რომ მათ და მათ ცოლშვილს იქ არა აქვთ უძრავი ქონება. 1—1 26

გარე-უბნის სასამართლოს აღმასრულებელი

ქ. ოდიშარია აცხადებს, რომ ის 30 სექტემბერს 1925 წ. დილის 10 ს
ათზე პუშკინის ქ. № 29 საჯარო ვაჭრობით გაყიდის გიორგობიანი
პეტრე და ვარლამ და იაკობი ნოდიას მოძრავ ქონებას: სარკეებს,
მებს, მაგიდებს, ტახტებს, ლამპებს და სხ. შეფასებულს 64 მან. 35
დასაკმაყოფილებლად ექვთიმე გორდეზიანისა 203 მ. და 10 კ. ვაჭრობა
დაიწყება შეფასებიდან 1—1 2606

დაკარგა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის ეკონომიურ განყოფილების 1919 წ. მატრიკული ვახტანგ სირბილაძის სახელზე. ჩ. გ. 2605 1—1

დაკარგა პასპორტი და სარეგისტ
ციო ბარათი ოპანეზ არუთინოვის სახელ
ჩ. გ. 2602 1—1

დაკარგა სამხედრო რეგისტრ. ბარა
ვლადიმერ დაბაისელის სახელზე. ჩ. გ. 2607 1—1

დაკარგა კავშირის წიგნაკი № 1214
სამხედრო აღრიცხვის ბარათი კონსტ
კვირიკაშვილის სახელზე. ჩ. გ. 2603 1—1

დაკარგა პირადობის მოწმობა ამხ
პეტ სრეტიუნოვის სახელზე ჩ. გ. 2607 (ა) 1—1

დაკარგა პირადობის მოწმობა ტიგ
მე ლუკას ძე ბასილაძის სახელზე. ჩ. გ. 2608 1—1

დაკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარ
და მოწმობა ტფ. სახელმწიფო უნივერ
ტეტიდან გ. ბეჟურიანის სახელზე. ჩ. გ. 2609 1—1

დაკარგა დამზღვევ ხალაროს წიგ
№ 13789 მარო ბედიაშვილის სახ
ჩ. გ. 2600 (ა) 1—1

დაკარგა პასპორტი სარქის მელ
შვილის სახელზე. ჩ. გ. 2601 1—1

დაკარგა 3 კასრი—108 ვედრო
გადასატანი მოწმობა № 8955 საფ.
ციხიდან ტფილისში კოოპერ. სახ.
თი სახელზე. ჩ. გ. 2610 1—1

დაკარგა პირადობის მოწმობა,
მული მეორე შრომის სკოლიდან
დრე ნჩიძის სახელზე. ჩ. გ. 2609 1—1

დაკარგა სამხედრო აღრიცხვის
თი და პირადობის მოწმობა
ქელბაქიანის სახელზე. ჩ. გ. 2600 1—1

დაკარგა პირადობის მოწმობა და
ხედრო აღრიცხვის წიგნი იუსტინე
ძე ძიძიგურის სახელზე. ჩ. გ. 2611 1—1

ს. ს. ს. რ. ს. მ. უ. ს.

სამთო-ქიმიური კომბინატი

„სამთოქიმი"

თბილისი, მაჩაბლის ქუჩა № 1

1. ბარიტი მადანი და დაფქვილი ყოველგვარი ხარისხის.
2. გლაუბერის მარილი.
3. ხურინჯი რკინის მადნის სახით, უმაღლესი ხარისხის.
4. ჟანგეინა რკინის მადნის სახით, უმაღლესი ხარისხის.
5. ცეცხლგამძლე მასალები.
   - ა) აგური ცეცხლგამძლე უმაღლ. ხარისხის.
   - ბ) ცეცხლგამძლე თიხა უმაღლესი ხარისხის.
   - გ) ქვარცი და ქვარცის სილა.
6. მარსელის კრამიტი
7. საალმოინებლო დრუა აგური.
8. თუნის მილები.
9. ქირი.

ნ. № 1739—0—2

საქართველოს სატყეო მრეწველობის

ტრესტი

აცხადებს, რომ მის მიერ 1925 წლის 25 სექტემბრის დღის 2 საათისათვის

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

10,000 ფუთი თივის (დაპრესილ), 6,500 ფუთი ქერის და 1,700 ფუთი ბზის მისაწოდებლად.

საღერბო გადასახად გადახდილ მარკებდაკრულ განცხადებების მიღება დახურულ კონვერტებში დანიშნულ ფასების 5 პროცენტის ჯამის თანდართვით (სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებათა გამოკლებით), სწარმოებს ტრესტის კომერციულ განყოფილებაში (მაჩაბლის ქ. 1) წარწერით: „საჯარო ვაჭრობისათვის თივაზე". იქვე შეიძლება პირობების გაცნობა.

ნ. 1745 2—2

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენით დაარსებული

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ დაავადებულ ავადმყოფთათვის, რომელნიც [illegible] ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

9205 25—1

ექიმი ე. ი. გალანდაძე

ღებულობს ავადმყოფებს: შინაგან ავადმყოფობით შეპყრობილთ, ვენერიულით, საშარდე და სასქესო ორგან. და სიფილისით. საღამოობით 5-დან 7 საათ., დილით 7-დან 8 საათამდე.

მისამართი: ბარნოვის (ყოფ. გუნიბის) ქუჩა № 6, მოსკოვის ქუჩიდან მარჯვენით (I უბანი). 25—1

ექიმი ა. ს. ფონ-ირეტელი

მიხეილის პროსპექტი, № 10, [illegible]

[illegible]

25—1

ექიმი ი. დ. თოფურიძე

[illegible] № 33

[illegible]

25—21

ექიმი გ. გ. მეგრაბიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გულის და ტუბერკულიოზის, სპეცმკურნალობა მალიარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.

მიღება ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

25—1

ექიმი შუხმანი

განაახლა მიღება ვენერიულ სნეულებაში

საღამოს 6—8 საათამდე; ქალები. დღის 2—3 საათამდე. ელისაბედის ქ. № 89 (ქსენიევის ქუჩის პირდაპირ)

21—1

ექიმი გ. მ. ფხალაძე

კანისა და ვენერიული სნეულ. სიფილისი (606 914)

მიღება კაც. 7—8 ს. დილ. 7—8 ს. საღ. ქალებს 6—7 ს. საღ. მოსკოვის ქ. № 4.

25—22

ექიმი ი. ი. გერიშვი

ვენერიული, საშარდე—სასქესო
განოების, სიფილისი და კანის
დმყოფობა. დილით 9—12 საათ.
თი 5—8 საათ.
ქალებისთვის 12—1 საათ.
ასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ
შესახვევი № 8.

25—23

ექიმი გ. მ. ფხალაძე

კანისა და ვენერიული სნეულებანი

(სიფილისი „606"—„914")

ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 7—8 საათ.—საღამოთი 7—9 საათ. ქალების—საღამოთი 6—7 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ. № 4, ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ).

წაღვერი

მედიცინის დოქტორი ა. ა. მოსხი

მოზრდილთა და ბავშვთა შინაგან ორგანოების და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობაში იღებს დილის 10—1 საათამდე ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით. საპუნოვის აგარაკ № 5 (კოოპერატივის მახლობლად).

1795 25—14

პროფესორი გ. მ. მუხაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

პლეხანოვის (ყოფ. მიხეილის) პროსპ. № 58. 13—1

კბილის ექიმი ფ. დ. რატიან თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა [illegible]

მიღება 12—4 საათამდე და 5—8 საათ. [illegible] ქუჩა № 16 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

25—20

ექიმი ალ. გ. მაღალაშვილი

ბავშვთა სნეულებანი

იღებს 2—4 ს. 5—7 ს. საღამ. ყორღანოვის ქ. № 12. 25—4 2153

დოქტორი ნევროპათოლოგი სვიმონ ყიფშიძე

დაბრუნდა უცხოეთიდან და დაიწყებს ავ
ფების მიღებას 14 სექტემბრიდან
2423 25—1

ექ. ე. მ. მძინარიშვილ

სიფილისი, ვენერიული და კან
სნეულებანი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყო
ფების მიღება. დღე 1—2 ს. და საღ
6—8 ს. ქალებს და ბავშვებს 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შეს
ლი კრუზენშტერნის ქუჩიდან).

ექ. ნ. პ. ფალიაშვილ

დაბრუნდა და განაახლა მიღება
ყოველგვარ მედიკურ ანალიზების
ნახველის, სისხლის და სხვა
რეაქცია (ვასერმანზე), ბაქტერიოლ
ზე) და სხვა. გამოკვლევებს მიიღებს
დღე, პირადათ საღ. 5—7
ბელინსკის ქ. ბაქრაძეს შესახვევი
აგურის) № 10. 2511 1—1

ექიმი ვ. ნ. ჩუპრინინ

ბავშვთა და შინაგანი სნეულებ
ავადმყოფთა მიღება დილის 9—11-მდე
საღამოს 4—6 საათამდე.
მისამართი: ჩერქეზიშვილის
№ 87. 18—1

ექიმი ვ. ნ. მამაცია

[illegible]

მიღება საღამოს 5—7 საათამდე. [illegible] № 32.

ტირაჟი—20.114

სტამბა „ზარია ვოსტოკა"-ს სახ. წულუკიძის ქ. № 4